# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ხუთშაბათი, 18 ივნისი 1998 №94 (629) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩილე — ავსტრია 1:1
# იტალია — კამერუნი 3:0



REUTERS მონტაჟი

პიერ ვომე აყირავებულ დინო ბაჯოს გადაახტა, იტალიის ნაკრები კი კამერუნისას

## დღეს ორი მატჩია

**ს. აფრიკა — დანია**

ტულუზი. 19[30]

**საფრანგეთი — საუდეთი**

სენ დენი. 23[00]

B ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 2 | 1 | 1 | 0 | 5:2 | 4 |
| ჩილე | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| ავსტრია | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| კამერუნი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | 1 |

*23 ივნისი. იტალია — ავსტრია, ჩილე — კამერუნი*

მეორე ტური B ჯგუფშიც ჩატარდა. პირველი, ჩილე — ავსტრიის მატჩის შემდეგ საქმეს ისეთი პირი უჩანდა, იტალიელთა და კამერუნელთა შეხვედრის ფრედ დამთავრების შემთხვევაში ოთხივე გუნდს ქულები თანაბრად ექნებოდა. ჯერჯერობით ყველაზე ფრეუხვი მაინც ეს ჯგუფია, თუმცა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონებმა თანაჯგუფელთაგან ნავსი პირველებმა გატეხეს. ზავი რა სათქმელია, მთელ ტაიმს კაცნაკლულად დარჩენილ კამერუნს დიდი ანგარიშით სძლიეს. მექსიკაში გამართული 1970 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში მასპინძელთა 4:1 განადგურების შემდეგ იტალიელებს მსოფლიოს ჩემპიონატებზე დიდი ანგარიშით გუშინდლამდე აღარავინ დაემარცხებინათ. აპენინელებს იუბილეც ჰქონდათ, გუშინ კამერუნელთათვის დი ბიაჯოს მიერ გატანილი გოლი იტალიის ნაკრებისთვის მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპებზე მეასე გამოდგა.

## სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

2 ივლისს, 12 საათზე გაიმართება საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის კონფერენცია.

24, 25 და 26 ივნისს 11-დან 14 საათამდე სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციაში (რუსთაველის 42) შედგება სპორტულ ჟურნალისტთა რეგისტრაცია.

## მოუგებს კი იტალია ავსტრიას?

**ექსპერტის კომენტარი** *ვლადიმერ პანოვი*

*საქართველოს ნაკრების მწვრთნელის თანაშემწე*



— ორივე ანგარიში კანონზომიერი გახლდათ. მართალია ავსტრიელებს ისევ მსაჯის მიერ წამატებულმა წუთებმა უშველა, მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს. ავსტრია თუნდაც ერთი გოლის გატანას ნამდვილად იმსახურებდა. მათ გაცილებით უკეთ ითამაშეს ჩილელებთან, ვიდრე კამერუნის გუნდთან. ავსტრიელებმა დამაჯერეს, რომ ფეხბურთის თამაში იციან, თორემ პირველი ტურის შემდეგ ცოტა ეჭვიც კი მეპარებოდა, ამათი უსუსური ბურთაობის შემყურეს. დარწმუნებული ვარ ავსტრია კიდევ მოუმატებს და იტალიელებსაც გაამწარებს. არა მგონია იტალიელებს უბრძოლველად რამე დაუთმონ. ყველაზე სავარაუდო ანგარიშად ფრე წარმომიდგენია. თანაც ნუ დაგავიწყდებათ, ავსტრიას გერმანული ხასიათი აქვს, თამაშითაც გერმანელებს ბაძავენ, ყოველივეს დასტურად კი ორივე მატჩში ბოლო წამებზე გატანილი გოლები გამოდგება. ავსტრიელებს სისხლში აქვთ თავგანწირული თამაში, ბოლომდე ბრძოლა და მწვრთნელიც გონიერი ჰყავთ. არა, იტალია ამათი მომგები ნაღდად არაა. თუმცა ავსტრია ჯგუფიდან არა მგონია, გავიდეს. ჩილე ალბათ კამერუნს მოუგებს და ყველაფერი დალაგდება. მერვედფინალში იტალია და ჩილე ითამაშებენ. კამერუნს კი, როგორც მოსალოდნელი იყო შანსი აღარ აქვს. გუშინაც ერთი-ორი წაიფაფხურეს, მეორე ტაიმში ვა-ბანკზეც წავიდნენ, ეგებ ანგარიში გავათანაბროთო, მაგრამ რისი მაქნისები იყვნენ, მით უმეტეს, როცა ათნი თამაშობდნენ. შესვენების შემდეგ აფრიკელებს ანგარიში რომ გაეთანაბრებინათ, მერე ათივე ფეხბურთელი საკუთარ საჯარიმოსთან დადგებოდა. ფრე მათთვის სანატრელი იყო. ჩეზარე მალდინიმ, არ ვიცი, იქნებ შეგნებულად დაუთმო ინიციატივა მეტოქეს, კონტრშეტევათა იმედად დარჩა, თუმცა ადრეც გითხარით, მე ახლანდელი იტალიის გუნდისა ნაკლებად მწამს. უფრო მგონია, რომ კამერუნელებმა მოინდომეს და იმ შტურმისმაგვარში თავიანთი ბოლო ძალები ჩააქსოვეს. ყველაფერი კლასმა გადაწყვიტა. თუმცა, რაც უნდა ვთქვა, ყველა დამეთანხმება, იტალიელები გაცილებით მაღლა დგანან ვიდრე აფრიკელები. გაიმარჯვეს კიდეც. ისე აქვე გეტყვით, ინიციატივის შეგნებულად მეტოქისთვის დათმობა მე მხოლოდ ბრაზილიელთა თამაშში შევნიშნე. გოლს სწრაფად გაიტანენ და მერე ნელ-ნელა უპირატესობას მოწინააღმდეგეს აძლევენ, ერთორ ჭკვიანურ მოძრაობას, პასს გააკეთებენ და მორჩა, მეტოქეს ანკესზე წამოაგებენ. ამასვე ვერ ვიტყვი იტალიელებზე.

# მესამე, ასმეერთე და ასმეორე

მატჩი №20. 17 ივნისი. მონპელიე. სტად დე მოსონი. 35 000 მაყურებელი

## იტალია 3:0 კამერუნი

1:0 დი ბიაჯო (8), 2:0, 3:0 ვიერი (75, 90)

...თამაში რამდენიმე წუთის დაწყებული. იტალიელთაგან საკუთარ კარს მიჯაჭვული კამერუნელები მეტოქის მორიგ შეტევას კუთხურზე იგერიებენ. იქიდან კი აპენინელები საჯარიმოში ჩაწოდების ნაცვლად კომბინაციას ათამაშებენ — რობერტო ბაჯო ბურთს საჯარიმოში აწვდის, იქ კი ნახევარმცველი ლუიჯი დი ბიაჯო ზუსტად არტყამს — 1:0. ეს ერთი შეხედვით ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი გოლი იმით გახლდათ გამორჩეული, რომ იგი იტალიელთა მესამე გოლი აღმოჩნდა მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპებზე. „სკუადრა აძურა“ ბრაზილიისა და გერმანიის შემდეგ მესამე ნაკრებია, რომელმაც 100-გოლიან ზღვარს გადააბიჯა. მესამეს ასმეერთე, სულ ბოლო წუთზე კი ასმეორეც მოჰყვა.

რაც იტალიამ მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველი მატჩი ითამაშა ჩილესთან, მას მერე არ შეწყვეტილა გუნდის, ცალკეულ ფეხბურთელთა და ყველაზე უფრო მწვრთნელის კრიტიკა. თითქმის მთელი იტალია ჩეზარე მალდინის ცვლილებებისკენ მოუწოდებდა, კრიტიკამ კი, როგორც ჩანს, შედეგი გამოიღო — მწვრთნელმა სასტარტო შემადგენლობაში ანჯელო დი ლივიოს და რობერტო დი მატეოს ნაცვლად ლუიჯი დი ბიაჯო და ფრანჩესკო მორიერო გაამწესა. ცვლილება გუნდს ხელადვე დაეტყო — ნახევარდაცვაში გაჩენილი ნაპრალი შეივსო, მარჯვენა ფლანგი კი შესამჩნევად მობილური და სახიფათო გახდა. ნათელი შეიქნა, რომ მარჯვენა ნახევარმცველის პოზიციაზე ფრანჩესკო მორიეროს გაცილებით მეტი სარგებლის მოტანა შეუძლია გუნდისთვის, ვიდრე დი ლივიოს.

მალდინიმ ნახევარმცველები კი შეცვალა, მაგრამ არ გააკეთა ის, რასაც მთელი იტალია არათუ ელოდა, კატეგორიულად მოითხოვდა — ალესანდრო დელ პიეროსთვის ძირითადში ადგილი კვლავ არ გამოინახა, თუმცა ამით „სკუადრა აძურას“ არც არაფერი დაუკარგავს. რობერტო ბაჯო უნარიანად უძღვებოდა თანაგუნდელთა შეტევებს და ჩვეულებისამებრ თავადაც ბევრ ხიფათს უქმნიდა კამერუნელთ.

შეხვედრას იტალიელნი ძალიან სერიოზულად მოეკიდნენ — პირველივე წუთებიდან სონგოს კარს რამდენჯერმე სახიფათოდ შეუტიეს, თავგზააბნეულმა კამერუნელმა მცველებმა კი შეცდომის შეცდომაზე დაშვება იწყეს, ამას კი უშედეგოდ არ ჩაუვლია — დი ბიაჯომ ანგარიში გახსნა. დაწინაურების შემდეგ იტალიელებმა წნეხში მოქცეულ კამერუნელებს გარკვეულწილად თავისუფლება აგრძნობინეს და „მოუთვინიერებელი ლომებიც“ შეტევაზე გადავიდნენ. მათი თავდასხმების მოგერიება იტალიელ უკანახაზელებს მაინცდამაინც არ უჭირდათ, პალიუკა კი საერთოდაც მოვალეობის მოსახდელად იდგა კარში. კაცმა რომ თქვას, ნესტა — კოსტაკურტა — კანავარო — მალდინის ოთხეულს კამერუნელთა შეჩერება მთელი შეხვედრის განმავლობაში არ გასჭირვებიათ, დაცვის შეწყობილი და შეთანხმებული თამაშის წყალობით პალიუკაც უმეტესწილად დასვენებული გახლდათ. იტალიელებს კამერუნელთა შეტევების უვნებელყოფა არ გასჭირვებიათმეთქი ვამბობ, თუმცა ერთი-ორჯერ, განსაკუთრებით კი მეორე ტაიმში „სკუადრა აძურას“ მცველები რამდენჯერმე პოზიციურად შეცდნენ და თუ კამერუნელებმა მათი დასჯა ვერ მოახერხეს, უეჭველია, აფრიკელებზე გაცილებით მაღალი კლასის გუნდები იგივეს არ გაიმეორებენ. მდგომარეობა თუ დროზე არ გამოსწორდა, იტალიელები დღეს თუ არა, ხვალ ნამდვილად დაისჯებიან.

მატჩი საკმაოდ უხეშიც გამოდგა. მსაჯს ხშირად უხდებოდა თამაშის შეჩერება, თუმცა, თუ რიგ შემთხვევებში იგი სწორად მოქმედებდა, საკმაო შეცდომებსაც უშვებდა როგორც ერთი, ისე მეორე გუნდის სასარგებლოდ. ისე, ამას განზრახ რომ არ აკეთებდა, ეს ცხადია. მსაჯმა საკმაო რაოდენობის ფეხბურთელები გააფრთხილა, ხოლო კამერუნელი რაიმონ კალა კი საერთოდაც მინდვრიდან გააძევა. აფრიკელი ნახევარმცველის უხეშობამ „სტად დე ლა მოსონზე“ შეკრებილი 40 ათასამდე ქომაგი კი არა, მილიონობით ტელემაყურებელიც ალაშფოთა. უბრალოდ გასაკვირი იყო, როგორ შერჩა დი ბიაჯოს ფეხი მთელი კალას განზრახ უხეშობის შემდეგ. წითელი ბარათი ლოგიკური გახლდათ, სავსებით სამართლიანი.

საერთოდ, როცა ამა თუ იმ გუნდს მოთამაშეს უძევებენ, მეტოქე ფსიქოლოგიურ უპირატესობას ჰპოვებს, კაცნაკლულთა კართან მიჯაჭვას და გოლების შეგდებას ახერხებს. კალას გაძევების შემდეგ იტალიელებისგან შტურმს ველოდით, თუმცა პირიქით კი მოხდა — კლოდ ლეროის ბიჭებმა თამაშის განახლებისთანავე სცადეს ჩამორჩენის გაქვითვა, თავქუდმოგლეჯილნი ეკვეთნენ პალიუკას კარს, თუმცა ხეირი ვერა და ვერ ნახეს — იტალიური დაცვა კვლავ შეუვალი რჩებოდა. დაახლოებით მეორე ტაიმის საწყისი ათი წუთის მანძილზე აპენინელებს ცენტრი არ გადაულახავთ. მედგრად იდგნენ და კონტრშეტევისთვის შესაფერის მომენტს ეძებდნენ. მალე ამის დროც დადგა, თუმცა რობერტო ბაჯოს კარგი პასის შემდეგ მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა კრისტიან ვიერიმ ვერ ივარგა.

მეორე ნახევრის შუაში მსოფლიოს ჩემპიონატზე ალესანდრო დელ პიეროს დებიუტი შედგა — „იუვენტუსის“ თავდამსხმელის გამოჩენას იტალიელთა შესამჩნევი გააქტიურება და რამდენიმე სახიფათო მომენტი მოჰყვა, თუმცა ყოველივე უშედეგოდ დასრულდა.

და მაინც, კამერუნელებს მაინც მოუწიათ ბურთის კარიდან გამოტანამ — კრისტიან ვიერიმ ეს უსიამოვნო პროცედურა სონგოს სამჯერ შეასრულებინა, თუმცა ვინაიდან ერთი გოლი არ ჩაითვალა, ცხადია, ვიერისაც ორი შედეგიანი დარტყმა ჩაეწერა. სხვათა შორის, იგი მსოფლიოს ჩემპიონატის ბომბარდირთა დავაში ჩილელ მარსელო სალასს წამოეწია — ახლა ორივეს 3-3 გოლი აქვთ გატანილი.

კამერუნელები განადგურებისგან ვერც მსაჯის მიერ წამატებულმა ოთხმა წუთმა იხსნა. გუშინ „სკუადრა აძურამ“ მეტოქეზე გაცილებით მაღალი კლასის ფეხბურთი ითამაშა და დაამტკიცა, რომ საფრანგეთში მხოლოდ ერთი მიზნისთვის, მსოფლიოს ჩემპიონატის მოსაგებად ჩავიდა.

გუშინ იტალიელებმა მეორედ ითამაშეს ამ ჩემპიონატზე და პირველი შეხვედრისგან განსხვავებით — კარგად. „სკუადრა აძურას“ ძლიერება გუშინდელ მატჩში იმიტომაც გამოჩნდა მკაფიოდ, რომ კამერუნი ჩილეზე დაბალი კლასის გუნდია. თუმცა ისიც ფაქტია, რომ იტალიელებმა მართლაც ჩინებულად ითამაშეს. გააქტიურებულმა მარჯვენა ფლანგმა, დაცვისა და ნახევარდაცვის შეხმატკბილებულმა თამაშმა, ასევე თავდამსხმელთა უნარიანმა გარჯამ შედეგი გამოიღო — იტალიამ შემდეგ წრეში გასასვლელად მორიგი ნაბიჯი გადადგა.

„სკუადრა აძურას“ შემდეგი მეტოქე ავსტრიაა. თუ მოხდა და იტალიამ იმარჯვა, მაშინ B ჯგუფსაც მოიგებს და მერვედფინალში მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონ ბრაზილიასთან შეხვედრას თავიდან აიცილებს. ახლა, გუშინდელი მატჩების შემდეგ, ჩეზარე მალდინის გუნდი ცალი ფეხით უკვე მერვედფინალშია. გადასადგმელი ერთი ნაბიჯილა დარჩა.

**ლაშა გოდუაძე**



REUTERS მონპელიედან

ორი გოლის გამტან ვიერის რომ არ ემარჯვა, ვომე ნაღდად თავს წააცლიდა

### მატჩის შემდეგ

ჩეზარე მალდინი, იტალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი: არ მინდა ჩემი გუნდიდან რომელიმე ფეხბურთელი გამოვყო, ყველამ კარგად ითამაშა და ნაკრების თითოეული წევრი საუკეთესო შეფასებას იმსახურებს. ბიჭებმა ჩემს მიერ მიცემული დავალება უზადოდ შეასრულეს და შედეგიც სახეზე გვაქვს. ჩილელებთან არც თუ დამაკმაყოფილებლად ჩატარებული მატჩის შემდეგ ძალიან გვსურდა ჩვენი თაყვანისმცემლების თვალში რეაბილიტირება და მოხარული ვარ, რომ საწადელს მივაღწიეთ. დღეს იტალიამ გუნდური თამაში აჩვენა, გამარჯვებაც სწორედ გუნდმა მოიპოვა და არა რომელიმე კონკრეტულმა ფეხბურთელმა. ჩვენს მიერ ნაჩვენები შედეგი კიდევ უფრო დასაფასებელი გახდება, თუ იმ ფაქტსაც გავიხსენებთ, რომ ნაკრებს 1970 წლიდან მოყოლებული ასეთი დიდი ანგარიშით არ მოუგია. ერთადერთი მძიმე მომენტი შეხვედრის მანძილზე პირველი გატანილი გოლის შემდეგ დაგვიდგა. ფეხბურთელებს რატომღაც დაბნეულობა დაეტყოთ, რაც ძალზე გასაკვირია, რადგან იტალიის ნაკრებს ასეთი რამ საერთოდ არ სჩვევია. მეორე ნახევარში კამერუნელები ათი კაცის შემადგენლობით დარჩნენ მინდორზე და ამის მიუხედავად იყო გარკვეული მონაკვეთი, როდესაც ჩვენს საჯარიმო მოედანს მიგვაჯაჭვეს და გოლის გატანამდეც ცოტა დააკლდათ. საერთოდ დღეს გუნდმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მესამე მატჩის წინ. ეჭვი არ მეპარება, რომ შემდეგ წრეში თამაშის უფლებას მოვიპოვებთ და მას შემდეგ, რაც პირველ ჯგუფში ბრაზილიელებმა პირველობა დაიბევეს ჩვენთვის მეტად არასასიამოვნო იქნება მეორე ადგილზე გასვლა, რადგან მერვედფინალში მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონებთან თამაში სასურველი ნამდვილად არ არის. ვფიქრობ ავსტრიელებთან მატჩში ჩვენი თავდასხმა კიდევ ერთხელ გაიბრწყინებს. და ისე გაირჯება, როგორც დღევანდელი შეხვედრის მეორე ტაიმში თამაშობდა. ასეთი ვარსკვლავების ყოლით ბევრი გუნდი ვერ დაიკვეხნის და მე ბედნიერი ვარ, რომ მათთან ერთად მიწევს მუშაობა.

კლოდ ლერუა, კამერუნის ნაკრების მთავარი მწვრთნელი: პირველი ტაიმი აშკარად სუსტად ჩავატარეთ. იტალიელები კარგად თამაშობდნენ და მოედნის ყველა მონაკვეთზე გვჯობნიდნენ. გატანილი გოლის გარდა შესვენებამდე კიდევ რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ჰქონდა და შესვენებამდე მინიმალური ანგარიშის შენარჩუნებას მხოლოდ იღბალს უნდა ვუმადლოდეთ. მეორე ნახევარში ვითარება ჩემდა გასაკვირად შეიცვალა. მიუხედავად იმისა, რომ თამაშის დიდი ნაწილი ათი კაცის შემადგენლობით ვიყავით მოედანზე, იტალიელების კარს მაინც მწვავედ ვუტევდით და მათი მცველებიც გვარიანად ვანერვიულეთ. „სკუადრა აძურას“ ჩავარდნის მიზეზი ჩემი აზრით მაინც ის იყო, რომ იტალიელებმა ანგარიშის შენარჩუნებაზე დაიწყეს ფიქრი და ამისთვის კინაღამ დაისაჯნენ. იმ ათწუთიან მონაკვეთში ჩვენი უპირატესობა მეტად დიდი იყო, და ხანდახან მეჩვენებოდა რომ მინდორზე ათი იტალიელი და თერთმეტი კამერუნელი იმყოფებოდა. ორი თამაშის შემდეგ შესაძლებელი ექვსის ნაცვლად მხოლოდ ერთადერთი ქულა გვაქვს, მაგრამ ამისდა მიუხედავად ეჭვი არ მეპარება, რომ შემდეგ ეტაპზე გასვლას შევძლებთ. მართალია ჯგუფურ ტურნირში ჩვენს უკანასკნელ მეტოქე ჩილეს ნაკრებს ორი დიდებული ფორვარდი ჰყავს, მაგრამ ეს გუნდი უძლეველი სულაც არაა და ამას მალე ნახავთ.



REUTERS მონპელიედან

იტალიელთა სიუბილეო და სამტიანი გოლი — დი ბიაჯოს თავური ზუსტია

იტალია

12. პალიუკა

3. მალდინი 4. კანავარო 5. კოსტაკურტა 6. ნესტა

9. ალბერტინი 14. დი ბიაჯო 11. დ. ბაჯო 17. მორიერო

18. რ. ბაჯო 21. ვიერი

20. ოლემბე 7. ომამ ბიიკი

6. ნჯანკა 10. მბომა 18. იპუა 8. ანგიბედო

3. ვომე 4. სონგი 5. კალა 15. ნდო

1. სონგო

კამერუნი

შეცვლა: იპუა — 21. ჟობი (46), ალბერტინი — 16. დი მატეო (62), რ. ბაჯო — 10. დელ პიერო (65), მბომა — 11. ეტო (66), ომამ ბიიკი — 9. ჩამი (66), მორიერო — დი ლივიო (83)

გაფრთხილება: ვომე, ნჯანკა, ანგიბედო, სონგი, კოსტაკურტა, დი ბიაჯო

გაძევება: კალა (43)

მთავარი მსაჯი: ე. ლინი (ავსტრალია)

### მატჩის სტენოგრამა

3 წუთი. მალდინის უზუსტესი და გონივრული პასი ვიერიმ ვერ გამოიყენა. სონგოსთან პირისპირ დარჩენილმა უხეიროდ დაარტყა და ბურთი მცველებმა ცარიელი კარიდან გამოიტანეს.

7. რობერტო ბაჯომ კუთხურიდან ალბერტინის დაუგორა. ამან ისევ ბაჯოს გაუჩერა, რობერტომ კი ბურთი დი ბიაჯოს თავზე დაასვა. სონგო უძლური იყო 1:0.

12. ბიიკს კოსტაკურტამ და კანავარომ არ დაარტყმევინეს და კარგი მომენტი გააცუდებინეს.

13. დინო ბაჯომ შორიდან სახიფათოდ დაარტყა, მაგრამ ააცილა.

20. სონგომ ვიერის ოდნავ დაასწრო. წამი რომ დაეგვიანებინა, ველარაფერს მოახერხებდა.

22. ისევ სონგო — ვიერის ორთაბრძოლა. მეკარემ ამჯერადაც იმარჯვა.

32. მბომას დარტყმული პალიუკამ იოლად აილო.

45. ნჯანკასაც მეკარემ აჯობა.

52. ვომემ ფლანგიდან კარს დაუმიზნა თუ ჩააწოდა, ძნელი სათქმელია. ფაქტი კია, იტალიელები საკმაოდ ანერვიულდნენ.

57. მბომამ ჟობი, ფაქტობრივად, პალიუკასთან პირისპირ დატოვა. ჟობმა კარგად კი დაარტყა, მაგრამ მეკარემ უკეთ ითამაშა: ბურთი ცხრიანიდან „გამოაძრო“.

58. მბომას თავურს კვლავ პალიუკა გაუმკლავდა.

74. ვიერიმ თავური ააცილა.

75. მორიეროს შრომა ვიერიმ დაუფასა. მისი პასი შეიშნოვა და სონგოს ბურთი თავზე გადაუგდო 2:0.

78. მორიერომ საჯარიმოში იფაფხურა. ბურთი დინო ბაჯოს მიუგორდა, დაარტყა, მაგრამ არც სონგო ჩამორჩა პალიუკას, ამანაც ცხრიანიდან ჩამოხსნა ბურთი.

80. დელ პიერო მეკარეს მახვილგონივრულად თავზე უგდებდა. სონგომ ბურთს თითები წაატანა და კუთხურზე მოიგერია.

89. დი ლივიომ დელ პიეროს მიაწოდა. ეს დაიბნა, მაგრამ მისი შეცდომა ვიერიმ გამოასწორა, ახლოდან ანგარიში გაასამა.

# სამ — სამი, ჩილემ კი ფრე

მატჩი №19. 17 ივნისი. სენტ ეტიენი. სტად ჟოფრუა გიშარი. 36 000 მაყურებელი

## ჩილე 1:1 ავსტრია

1:0 სალასი (70), 1:1 ვასტიჩი (90)

პირველ ტაიმზე არაფერს ვიტყვით. უფრო სწორად, ვერაფერს ვიტყვით. ან რა უნდა ვთქვათ იმაზე, რაც არ ყოფილა. თუ ვინმე გვეტყვის იყოო, ვთხოვთ, ერთი რამ დასამახსოვრებელი მაინც გვითხრას, რათა დავრწმუნდეთ, რომ მართლა იყო. იქნებ გაგვახსენდეს ბუნდოვნად მაინც.

ისეთი უსახური გუნდი, როგორიც ავსტრიაა, ამ ჩემპიონატზე მეორე არ არის. ვილაც თერთმეტი კაცი წინ და უკან დარბის, მორჩა და გათავდა. ესაო, ისაო, ტონი პოლსტერმა სიბერეში თამაში ისწავლაო. წარმომიდგენია, ჯეელობაში რაც იქნებოდა.

ჰერბერტ პროჰაზკა იჯდა თავის სამწვრთნელო სკამზე და სიგარეტს ეწეოდა. ჰქონდა სანერვიულო და იმიტომ. პროჰაზკა თამაშის შედეგზე ნერვიულობდა და ალბათ ფიქრობდა, ამ მომენტში მოედანზე მე რომ ვყოფილიყავი, იმ მომენტში კრანკლი რომ ყოფილიყო...

პროჰაზკას და ჰანს კრანკლის დროს ავსტრია სხვა გუნდი იყო. იქნებ ციდან ვარსკვლავები არც მაშინ მოუწყვეტია, მაგრამ ამასთან შედარებაც არ შეიძლება. მაშინ ავსტრიელები არა მხოლოდ დარბოდნენ მოედანზე, არამედ აკეთებდნენ ახლანდელი თაობისთვის მეტად უცნაურ რამეს — ფეხბურთს თამაშობდნენ.

ეჰ, როგორც პოეტი იტყოდა, მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი და ავსტრიის და ჩილეს ნაკრებების თამაშს მივყვეთ. გუშინ ჰერბერტ პროჰაზკამ და ნელსონ აკოსტამ გუნდები ერთნაირი განლაგებით გაიყვანეს მოედანზე. ამ განლაგებას 3-5-2 ჰქვია. შემდეგ ეგვიპტელმა არბიტრმა ჯამალ განდურმა ჩასტვინა და...

...მეორე ტაიმში ავსტრიის გუნდში ანდრეას ჰერცოგი გამოჩნდა. ჰერცოგთან ერთად მოედანს შესვენებისას პროჰაზკას შეხურებული თერთმეტი გონება და გულიც დაეტყო, მაგრამ... სულ ათი წუთით.

თუმცა ამ ათწუთიან მონაკვეთში ავსტრიელებმა რაღაც მოახერხეს, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ რაღაც. იყო ერთი-ორი ისეთი ეპიზოდი, კაცი რომ იტყოდი, აქედან მომენტის შექმნა შეიძლებოდაო. ერთი კი უდავოა, მეორე ნახევარი უფრო ჩქარი იყო, ვიდრე პირველი.

მაგრამ თავდასხმაში ავსტრიელთა გააქტიურებას ჩილელთა კონტრშეტევები მოჰყვა და ევროპელთა დაცვამაც ერთიორჯერ პირი დაალო. იყო ასეთი ეპიზოდი, ერთობ ნიშანდობლივი, ავსტრიას შეტევა ჩაეშალა, ჩილემ სწრაფად წამოიღო ბურთი, ცენტრიდან გაქცეულმა მოისეს ვილიაროელმა მეკარე მიხაელ კონსელთან პირისპირ შეირბინა, მაგრამ ძალიან აღარ მიახლოვებია და დაარტყა. კონსელმა ბურთი კუთხურზე გადააგდო.

ვერ გეტყვით, განზრახ თუ უნებურად, ავსტრიელებმა უკან დაიხიეს. ამან ჩილელთა კონტრშეტევები შედარებით დააცხრო და ისევ მოედნის შუაში დაგროვილმა ათმა ფეხბურთელმა გამართა ბრძოლა.

მაგრამ ჩილეს თავდასხმაში სა-სა ჰყავს, სამორანო და სალასი. ერთ ეპიზოდში, როდესაც ავსტრიელთა საჯარიმოსთან მათი დაცვის მარჯვენა, ხოლო ჩილელთა შეტევის მარცხენა ფრთაზე ჯარიმა დაინიშნა, ჩაკიდებულ ბურთს ჯერ სამორანომ ჰკრა თავი, ხოლო მეკარის მოგერიებულს სალასმა ახლოდან ფეხი დაარტყა და... კონსელმა ეს დარტყმაც დაიჭირა, მაგრამ კარის ხაზს შიგნით.

მაშ ასე, სა-სას მეორე სამ ანუ მარსელო სალასმა ამ ჩემპიონატზე უკვე მესამე გოლი გაიტანა. ორი გოლი წინა შეხვედრაში იტალიელებს შეუგდო.

სალასი მსოფლიოს ფეხბურთში ახალი კაცია. პლანეტა პირველად უცქერს მის თამაშს. და რა ნახა პლანეტამ? პლანეტამ ორ თამაშში სამი გოლი იხილა. სამაგიეროდ, მას არ უნახავს ფინტი, გარღვევა, პასი. სადად და კონკრეტულად, ორ თამაშში სამი გოლი.

ახლა ნელსონ აკოსტას ჰკითხეთ, რა თავში იხლის ფინტს და პასს, თუ სა მეორე ფეხს მოიქნევს და გოლი გავა? ეჭვი არაა, იმავე აზრისაა რომაული „ლაციოს" მწვრთნელი შვედი სვენ გორან ერიკსონიც, რომელსაც მსოფლიოს პირველობის მერე სალასთან მუშაობის სიამოვნება ელის.

ისე, ხომ არ დაგრჩათ შთაბეჭდილება, რომ სა პირველიც იმავე სტილის თავდამსხმელია? რომელი დრიბლიორი ივან სამორანოა, საქვეყნოდაა ცნობილი, რომ მისი კოზირი საჭირო ადგილას მისვლა და ბურთისთვის თავის ან ფეხის დროული და ზუსტი შეშვერაა. დიახ, ჩილეს ნაკრებს ორი ასე თუ ისე ერთნაირი ფორვარდი ჰყავს.

გუშინ სას და სას ერთნაირობა იმაშიც გამოიხატა, რომ ორივემ ყვითელი ბარათი მიიღო.

გაშვებული გოლის მერე ავსტრია ვითომ უნდა გააქტიურებულიყო, ინიციატივა წაელლიტა მოწინაალმდეგისთვის და იგი საკუთარ საჯარიმოსთან მიეჯაჭვა, მაგრამ ვერ ახერხებდა ამას. თუმცა რაც მოახერხა, განა სრულიად საკმარისი არ იყო?

ავსტრიამ ქულის მოპოვება მოახერხა, მოახერხა თამაშის მიწურულს, მსაჯს უკვე დრო რომ ჰქონდა წამატებული. მოახერხა მარტივად, ყოველგვარი ფილოსოფიის და კომბინაციათა ხლართვის გარეშე. შორიდან დარტყმით გოლი გერმანული „შტურმის" მოთამაშემ ივიცა ვასტიჩმა გაიტანა.

კიდევ ერთი შეკითხვა: ხომ არ თვლით, რომ ჩილეს თავი ქუდში რომ არ ჰგონებოდა, ავსტრია ანგარიშს ვერ გაათანაბრებდა? ნუთუ არ შეეძლოთ სამხრეთამერიკელებს იმ ბოლო წამებში ცოტა მეტი ჟინით დაეცვათ თავი? შეეძლოთ, ცხადია, შეეძლოთ, მაგრამ მოუვიდათ მეტისმეტად, სამხრეთულად უდარდელი რამ. გუნდს, რომელიც დიდ მიზანს ისახავს, ეს არ უნდა შეემთხვას. მსოფლიოს ჩემპიონატია, ბატონებო, და მასში იმარჯვებს ის, ვინც იცის, როგორ უნდა გაიმარჯვოს, ვინც უტეხი ხასიათისაა, ვინც მოპოვებულ უპირატესობას ქარს არ ატანს, ვისთვისაც „ასე მეგონა" უცნობი სიტყვებია.

ჩილე საინტერესო გუნდია, მაგრამ ორი თამაშიდან ორი ქულა აქვს, არადა, ოთხი უნდა მოეპოვებინა.

სამაგიეროდ, ჩილეს ჰყავს სა-სა და ამიტომაც მის მესამე თამაშს კამერუნთან 23 ივნისს სიამოვნებით ვნახავთ. დაველოდოთ 23 ივნისს, ჩილეს და სასას მერვედფინალში გასვლის მაინც კარში შანსი აქვს.

**ილია ბაგუნაშვილი**

### მატჩის შემდეგ

**ნელსონ აკოსტა**, ჩილეს ნაკრების მთავარი მწვრთნელი: თავზარდაცემული ვარ. ეს საშინელებაა. სიტყვები არ მყოფნის ჩემი მდგომარეობის გადმოსაცემად. თამაში მშვენივრად წარვმართეთ და თითქმის მოგებულიც გვქონდა, მაგრამ ბოლო წუთზე მომხდარი კატასტროფის გამო მხოლოდ ფრეს დავჯერდით. ბიჭები მთელი ოთხმოცდაათი წუთის განმავლობაში საუცხოოდ ირჯებოდნენ და ვერაფრით ამიხსნია, ბოლოს რა დაემართათ. როდესაც გოლი გავიტანეთ, დარწმუნებული ვიყავი, რომ გამარჯვებას ხელიდან არ გავუშვებდით. ის კი არა, ჩემს გუნდს მერვედფინალში ვხედავდი და იქ ჩვენი შესაძლო მეტოქეების ვარიანტებიც კი გადავთვალე. მაგრამ მოულოდნელად, სულ ბოლო მომენტში ავსტრიელთა თავდამსხმელი წამით მარტო დარჩა და ყველაფერი წყალში ჩაგვიყარა. ჩილეს გუნდი მეტად ემოციურია და ეს დარტყმა ძალიან მტკივნეულად აღიქვა. ახლა ყოველ ღონეს ვიხმარ, რათა ბიჭებს მებრძოლი სულისკვეთება დაუბრუნდეთ და მომავალი თამაშისთვის სათანადოდ განეწყონ. ჯგუფური ტურნირის ბოლო შეხვედრაში კამერუნელებს ვხვდებით და მათთან თამაშისას უნდა ვეცადოთ, დღეს დაშვებული შეცდომა არ გავიმეოროთ. თუ აფრიკელებთანაც ისეთივე შემართებით ვიბრძოლებთ, როგორც იტალიელებთან მთელი შეხვედრის განმავლობაში, ხოლო ავსტრიელებთან დაახლოებით ოთხმოცდაცხრა წუთი გავისარჯეთ, მაშინ, ვფიქრობ, შემდეგ ეტაპზე გასვლა არ გაგვიჭირდება. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ავსტრიელებს ჩვენსავით ორი ქულა აქვთ და მიუხედავად იმისა, რომ ბოლო მატჩს იტალიელებთან ატარებენ, მათგან ყველაფერია მოსალოდნელი.

**ჰერბერტ პროჰაზკა**, ავსტრიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი: ჩვენმა გუნდმა უფრო ცუდად ითამაშა, ვიდრე პირველ შეხვედრაში კამერუნის ნაკრებთან. ბიჭები ქაოსურად, სრულიად უმიზნოდ მოქმედებდნენ. გაშვებული გოლის შემდეგ შემეძლო, მათ ძლიერ გავჯავრებოდი და ხმამაღლა მესაყვედურა, მაგრამ ეს არ გავაკეთე, რადგან ვიცოდი, რომ ამით მაინც არაფერი შეიცვლებოდა. ბოლო ათი წუთის განმავლობაში ნამდვილად აღარ ვფიქრობდი, თუ მატჩს გადავარჩენდით. უბრალოდ, ამის არც იმედი მქონდა და არც ჩემი გუნდის თამაში მაძლევდა ოპტიმიზმის საბაბს. თუმცა, გამოგიტყდებით, გულის სიღრმეში მაინც ენთო ის ნაპერწკალი, რომელიც ვასტიჩის გოლმა ცეცხლად აქცია. ვფიქრობ, ფრე სამართლიანი შედეგი იყო, რადგან ჩემი ბიჭები უშიშრად, ლომებივით იბრძოდნენ და მიზანს მიაღწიეს. ვიცი, ბევრი ჩემს აზრს მიკერძოებულად ჩათვლის და სუბიექტურობას დამწამებს, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა, რომ დღეს ავსტრიის ნაკრებმა ფრე დაიმსახურა. ახლა ბოლო მატჩი გველის იტალიასთან და მიუხედავად იმისა, რომ „სკუადრა ატურა" მეტად ძლიერია, ჩვენ მერვედფინალში გასვლის ჩინებული შანსის ხელიდან გაშვებას ნამდვილად არ ვაპირებთ. ხოლო ის, რომ ავსტრიას სასწაულების მოხდენა შეუძლია, ამ საღამოს ყველას დავუმტკიცეთ.

**ივიცა ვასტიჩი**, ავსტრიელთა საპასუხო გოლის ავტორი: უბედნიერესი კაცი ვარ. მსოფლიოს ჩემპიონატზე თავის გამოჩენა ნებისმიერი ფეხბურთელისთვის უდიდესი პატივია და უსაზღვროდ მოხარული ვარ, ეს რომ შევძელი. საერთოდ, უნდა ვთქვა, რომ მეორე ტაიმი ორივე გუნდმა კარგად ჩაატარა და მაღალი დონის ფეხბურთი აჩვენა. მართალია, ჩილელებმა თავიდან იძალეს და ანგარიშიც გახსნეს, მაგრამ ჩვენ არ დავბნეულვართ და სულ ბოლო მომენტამდე გვჯეროდა წარმატების. გახსოვთ, ალბათ, კამერუნელებთანაც უკანასკნელ წუთებზე შევძელით ქულის გადარჩენა და დღესაც ვგრძნობდი, რომ ამის გამეორება შეგვეძლო. ბოლოს ავსტრიის ნაკრები მთელი გუნდით შეტევაზე გადავიდა და ამან შედეგი გამოიღო. ადვილად შეიძლებოდა, ჩილელებს მეორე გოლიც გაეტანათ და ჩვენთვის ბოლო მოეღოთ, მაგრამ ღმერთმა მოწყალების თვალით გადმოგვხედა და კიდევ ერთი ქულა გვაჩუქა. ბოლო შეხვედრაში ჩილელებს უფრო ადვილი მეტოქე ჰყავთ, მაგრამ იტალიელების არ გვეშინია და მერვედფინალში გასვლისთვის კვლავაც ბოლო წუთამდე ვიბრძოლებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ტაპია

6. რეიესი | 3. ფუენტესი | 5. მარგასი

15. ვილიაროელი | 8. აკუნია | 7. პარაგუსი | 20. ესტეი | 4. როხასი

11. სალასი | 9. სამორანო

19. პოლსტერი | 7. ჰაასი

15. ვეტლი | 8. პფაიფენბერგერი | 22. კუხბაუერი | 17. მაილიხი | 13. ჩერნი

4. პფეფერი | 3. შოტელი | 5. ფაიერზინგერი

1. კონსელი

ავსტრია

შეცვლა: კუხბაუერი — 10. ჰერცოგი (46), ჩერნი — 2. შოპი (46), ესტეი — 10. სიერა (57), ვილიაროელი — 2. კასტენადა (67), ჰაასი — 9. ვასტიჩი (74)

გაფრთხილება: ვილიაროელი, შოტელი, ესტეი, სალასი, სამორანო

მთავარი მსაჯი: ჯ. განდური (ეგვიპტე)



REUTERS სენტ ეტიენიდან

სამორანომ (№9) პოლსტერი გააკავა და შოტელს და კონსელს შორის მოქცეულ მარსელო სალასს გატანაში მიეხმარა

### მატჩის სტენოგრამა

9 წუთი. გარგასმა მეტად სახიფათო საჯარიმო დარტყმა კარს ოდნავ ააცილა.
21. სამორანოს თავურიც არაზუსტი იყო.
35. ვილიაროელმაც ვერ გაისწორა მიზანი.
36. პოლსტერმა კუხბაუერს ქუსლით მიაწოდა, მან საჯარიმოში ჩააგდო ბურთი, ჰაასი სახიფათოდ ურტყამდა, მაგრამ ფუენტესს მოარტყა.
42. პფაიფენბერგერი საჯარიმოში ანვდიდა, ბურთი ფეხიდან აეჭრა და კარში წავიდა. ტაპიამ მაინც მოიგერია.
51. პოლსტერმა ფლანგიდან ჩააწოდა, მაგრამ ჰაასმა და შოპმა ერთმანეთს ხელი შეუშალეს და მომენტიც გაცუდდა.
60. სალასმა სამორანოს გონივრული პასი მიაწოდა, მაგრამ კონსელმა იყოჩაღა.
67. ვეტლმა დარტყმა დააგვიანა, არადა, გოლის გასატანად კარგი შანსი ჰქონდა.
68. სამორანომ თავით დაარტყა, კონსელმა კი მოიგერია, მაგრამ სალასი იქვე იყო, დაამატა და შეაგდო.
70. პოლსტერმა ბურთს ფეხი ხეირიანად ვერ მოარტყა.
82. ვასტიჩმა საჯარიმოს ხაზიდან ააცილა.
87. სამორანო კონსელთან პირისპირ დარჩა, მეკარემ კუთხურზე მოიგერია, იქიდან ჩაწოდებული კი კატანედამ დაარტყა, მაგრამ ააცილა.
90. ვასტიჩმა ფუენტესი ცრუმოძრაობით მოატყუა და ტაპიას ცხრიანში ლამაზად გაუტანა.

მატჩი №21. ს. აფრიკა — დანია. ტულუზი. 19³⁰

# აფრიკას მოგება უნდა, მაგრამ ვერ მოიგებსო

როდესაც იცი, რომ ვიღაცაზე ძლიერი გქვია, დიდი უპირატესობაა. დასაბამიდან ოთხმოციან წლებამდე დანიის სამეფოს ქვეშევრდომმა ფეხბურთელებმა იცოდნენ, რომ სხვაზე სუსტები იყვნენ და ისე იქცეოდნენ, როგორც სუსტებს შეეფერებათ. მერე მოვიდა პრებენ ელკიაერ ლარსენის თაობა, დანიელები წელში გაიმართნენ, ნახეს, რომ ისინი კი არა, სხვები არიან სუსტები. ლარსენის საძმო ლაუდრუპებმა და კომპანიამ შეცვალა. მათ (მიქაელ ლაუდრუპის გარეშე) 1992 წელს ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს.

დღეს ლაუდრუპები და ძმანი მათნი ექვსი წლით უფროსები არიან, ვიდრე შვედური ტრიუმფის დროს იყვნენ. თითქოს ახალი ვარსკვლავიც არ გამოჩენილა კოპენჰაგენის ცაზე (საშუალო დონე კი აუმაღლდათ შესამჩნევად), მაგრამ ყველაზე მთავარი ის გახლავთ, რომ დანიელებმა თავის ფასი იციან.

და რა იციან სამხრეთ აფრიკელებმა? მათ იციან, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის დებიუტანტები არიან და პირველ შეხვედრაში მაინცდამაინც მასპინძელ ფრანგებთან მოუხდათ დატაკება. მართალია, სამხრეთ აფრიკელთა ფრანგი მწვრთნელი ფილიპ ტრუსიე აცხადებს, პირველი წაგება უკვე დაგვავიწყდა, ჩვენი შეცდომები კი არაო, მაგრამ აბა პიერ ისას ჰკითხეთ?

პიერ, ბოდიში! ქართველ ჟურნალისტთა სახელით გთხოვ გვაპატიო ყოველდღიური ხსენება გაზეთის ფურცლებსა და ტელეეთერში, მაგრამ გაგვიგე, შენნაირი სხვას არასოდეს ჩაუდენია. ორი გოლი საკუთარ კარში, თუნდაც ერთი, როგორც ამბობენ, სხვას მიაწერეს ბევრია.

დიახ, ძალიან საეჭვოა, რომ ისას და მის თანაგუნდელებს, ერთად ბაფანა-ბაფანა რომ ჰქვიათ, ცნობიერებიდან და ქვეცნობიერიდან საბოლოოდ ამოშლილი ჰქონდეთ მარსელის „ველოდრომზე" ნაწვნევი შოკი. მოკლედ, სამხრეთაფრიკელებმა იციან, რომ სხვებზე სუსტები არიან.

მაშ გამოდის, რომ დღეს, თბილისის დროით საღამოს რვის ნახევარზე ტულუზში ერთმანეთის წინააღმდეგ წარსდგება ორი გუნდი, რომელთაგან ერთმა იცის, რომ ძლიერია, მეორემ კი იცის, რომ სუსტია. ერთმა პირველ შეხვედრაში გაიმარჯვა, მეორე დამარცხდა. ერთს სამი ქულა აქვს, მეორეს — ნული.

ზოგიერთი მიმომხილველი საქმეს სხვაგვარად უყურებს. მათი აზრით, ზედმეტი თავდაჯერებულობა გახლავთ სწორედ ის, რისაც გველის ნაკბენივით უნდა ეშინოდეს დანიას. ეს აზრი ბუნებრივია, გასაზიარებელია, მაგრამ ძალიან საეჭვოა, დანიელები დღეს მოედანზე გაფხორილნი გავიდნენ. ჯერ ერთი, არა მგონია კუდის ყავარზე გადება თვისებად ჰქონდეთ, მათ უფრო საქმიან ხალხად ვიცნობთ, მეორეც, სხვა თუ არაფერი, ტელევიზორს მაინც ჩართავდნენ და გუშინწინ ბრაზილიელთა თამაშს ნახავდნენ ტუნისთან. თვით ბრაზილიამ მოიდინა ოფლი.

„ჩვენ სამხრეთ აფრიკას ვხვდებით, გუნდს, რომელიც მოედანზე მოგებისთვის უნდა გამოვიდეს, ეს კი ძალიან გვაწყობს, კონტრშეტევისთვის ხელ-ფეხი გაგვეხსნება. ვგონებ, საკმარისი რაოდენობის გოლსაც გავიტანთ და გავიმარჯვებთ" — თქვა ბრიან ლაუდრუპმა.

რა ჩანს ამ სიტყვებში? ერთი ის, რომ უმცროს ლაუდრუპს კარგად მოეხსენება — საფრანგეთში კაპიტულანტი არავინაა, სამხრეთ აფრიკა მოსაგებად ითამაშებსო, ამბობს. მეორე ის, რომ ლაუდრუპი საკუთარ ძალებში დარწმუნებული გახლავთ. ერთიც კარგია და მეორეც.

„ისინი ძნელ მდგომარეობაში არიან, სამი ქულა სჭირდებათ, აუცილებლად უნდა მოგვიგონ, ჩვენ კი ერთი ქულის მოპოვებაც გვაწყობს. სამხრეთ აფრიკა იძულებული იქნება, თამაში წარმართოს" — განაცხადა მცველმა იეს ჰოგმა.

დანიელთა მწვრთნელმა ბო იოჰანსონმა სამშაბათს ვარჯიში გააუქმა, ბიჭები ძალიან დაღლილები არიან და ჯობს დაისვენონო, მაგრამ როგორც ჩანს, იმავდროულად ფეხბურთელებს უკიჟინებს და საბრძოლველად განაწყობს.

„სამხრეთ აფრიკა ფიზიკურად ძალიან ძლიერად მომზადებული გუნდია" — თქვა იოჰანსონმა — „პირველ შეხვედრაში მან საფრანგეთს გვარიანად შეუბორკა ხელ-ფეხი. მერე რა, რომ წააგო, სწორედ ამიტომ შეეცდება ჩვენთან თამაშის დროს იმის გამოსწორებას, რაც მარსელში ვერ შეძლო. ვიცი, სივრცეებს მაქსიმალურად შეგვიზღუდავენ".

სამხრეთ აფრიკელთა მწვრთნელი ფილიპ ტრუსიეც იმავე აზრისაა. იგი პირობას დებს, რომ მისი გუნდი დანიელებს გაცილებით შეუზღუდავს სათამაშო ფართობს, ვიდრე ეს ფრანგებს გაუკეთა.

„დღეს ჩვენთვის მსოფლიოს პირველობის ფინალია და გამარჯვება გვჭირდება" — ბრძანა მან.

ტრუსიეს თქმით, სამხრეთ აფრიკის ნაკრების შემადგენლობაში შეიძლება ერთი-ორი უმნიშვნელო ცვლილებაც იყოს. ალბათ, მოედანზე კვლავ გავა გამოჯანმრთელებული თავდამსხმელი ბენედიქტ მაკართი, ამსტერდამის „აიაქსიდან". აი, ფილ მასინგას ამბავი კი ჯერ კითხვის ნიშნის ქვეშ არის.

ისე, გულახდილად რომ ვთქვათ, ერთიცა და მეორეც საფრანგეთთან შეხვედრაში მინდორს არ დატყობიან, მაგრამ პირობას დებენ, რომ თუ ითამაშებენ, დანიელებთან დაეტყობიან და მერე როგორ.

### გუნდების სავარაუდო შემადგენლობები

**დანია:** შმაიხელი, რიპერი, ჰოგი, კოლდინგი, შიონბერგი, ჰელვეგი, ვიგჰორსტი, იორგენსენი, მ. ლაუდრუპი, ბ. ლაუდრუპი, სანდი

**სამხრეთ აფრიკა:** ვონკი, ფიში, ისა, ჯეკსონი, ნიაცო, რადებე, მოშოუ, ფორტუნი, ავგუსტინი, მასინგა, მაკართი

ილია ბაბუნაშვილი


სარბიელის არქივიდან

მიქაელ და ბრიან ლაუდრუპებმა კარგად იციან, რომ მეტოქე მათზე სუსტია

# საუდელები ფრეზეც ყაბულს არიან

მატჩი №22. საფრანგეთი — საუდეთი. სენ დენი. 23⁰⁰

მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე საფრანგეთის ნაკრებს ხშირად აკრიტიკებდნენ არცთუ საუცხოოდ ჩატარებულ ამხანაგურ მატჩებში მეტად ერთფეროვანი თამაშისთვის. გუნდის მთავარ მწვრთნელს ხან არჩეულ ტაქტიკას უწუნებდნენ და ხანაც წინასაჩემპიონატო მზადების არასწორად წარმართვაში სდებდნენ ბრალს. არადა, ფრანგები თითქოს ურიგოდ არ ირჯებოდნენ და ცალკეულ თამაშებში კარგ შედეგებსაც აღწევდნენ. თუმცა კრიტიკოსებს ზოგიერთ ასპექტში ნამდვილად არ გაემტყუნებათ. გავიხსენოთ თუნდაც ერთი წლის წინ ჩატარებული „ტურნუა დე ფრანსი", ანაც რამდენიმე თვის წინ მოსკოვში, რუსებთან განცდილი მარცხი. იმ თამაშებში საფრანგეთის ნაკრები ნამდვილად არ ჰგავდა გუნდს, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონატზე მწვერვალების დაპყრობა ამოუჭრია გულში. მაგრამ დაიწყო მსოფლიოს უდიდესი სპორტული ტურნირი და კრიტიკოსები თუ მასპინძელთა ნაკრების არაკეთილმოსურნეები სახტად დარჩნენ — ფრანგებმა პირველი შეხვედრა ბრწყინვალედ ჩაატარეს და სრულიად იოლად სანუკვარი სამი ქულა მოიპოვეს. მერე რა, რომ სამიდან ორი გოლი სამხრეთაფრიკელმა ისამ საკუთარ კარში გაიტანა? იმ სახიფათო მომენტების შექმნასაც ხომ ოსტატობა სჭირდება და დამაგვირგვინებელ დარტყმას კარის მიმართულებით ვინ შეასრულებს, ამას რა მნიშვნელობა აქვს. ზიდინის წინამძღოლობით შეგულიანებული ფრანგები მართლაც საუცხოოდ თამაშობდნენ და ყველას აჩვენეს, რომ თავიანთი ქვეყნიდან მსოფლიოს თასს ძნელად თუ გაატანენ ვინმეს.

პირველ შეხვედრაში 3:0 მოგებამ ფრანგი გულშემატკივრები თავიანთ გუნდის უძლეველობაში დაარწმუნა და გადიდგულებულნი საუდელებთან დღევანდელ მატჩში მხოლოდ გამარჯვების მოლოდინში არიან. ისინი არც ერთ სხვა შედეგზე არ არიან ყაბულს და სურთ, რომ დღევანდელი მატჩის შემდეგ ნაკრები მერვედფინალში იხილონ. ეს მართლაც ადვილი შესაძლებელია, მაგრამ იქამდე ამ ჯგუფში კიდევ ბევრი რამ შეიძლება მოხდეს. ამიტომ ემე ჟაკე ყველას სიმშვიდისკენ მოუწოდებს და თავის ფეხბურთელებს აფრთხილებს, რომ ამ საღამოს ზედმეტი თავდაჯერება შესაძლოა უდიდესი უსიამოვნების ფასად დაუჯდეთ.

— საუდეთის ნაკრები სუსტი რომ არ არის, დანიელებთან პირველ მატჩშიც დაამტკიცა. ევროპელებს ბედმა გაუღიმათ და გამარჯვების მომტანი გოლის გატანა შეძლეს, მაგრამ, ალბათ, თავადაც აღიარებენ, რომ იმ შეხვედრის ყველაზე სამართლიანი შედეგი ფრე იქნებოდა. ამიტომ ჩემს ნაკრებს უდიდესი სიფრთხილე მართებს, რადგან აზიელებთან შეტაკებისას სრულიად ადვილი შესაძლებელია, ფეხი დაგვიცდეს. საერთოდ, ჯგუფური ტურნირის მეორე შეხვედრები ყოველთვის განსაკუთრებული დაძაბულობით გამოირჩევა და ერთგვარად სათასო მატჩებსაც გვაგონებს. ამ დროისთვის სუსტი გუნდების უმეტესობას პირველი თამაშები წაგებული აქვს და ზედიზედ მეორე მარცხი მათ იმედებს დაასამარებს. ამიტომ თითოეული მათგან ცდილობს, ადრე დაკარგული სწორედ მეორე შეხვედრებში აინაზღაუროს — ამბობს ფრანგთა თავკაცი.

საუდელებსაც კარგად ესმით, რომ დღევანდელ მატჩში დამარცხების შემთხვევაში, ალბათ, შინ ნაადრევად გაბრუნება მოუწევთ, ამიტომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა ჯგუფური ტურნირის ბოლო შეხვედრის წინ სულ ცოტა ერთი ქულა მაინც დაიბევონ.

ეს მეტოქეები აქამდე არასოდეს შეხვედრიან ერთმანეთს. თუმცა ემე ჟაკე თავის ფეხბურთელებს მოდუნების უფლებას არ აძლევს და წამდაუწუმ ოთხი წლის წინანდელ სენსაციაზე საუბრობს, რომელიც საუდეთის ნაკრებმა ამერიკაში მოახდინა. მაშინ აზიელებმა ყველასათვის მოულოდნელად ჯგუფში მაროკოელები და ბელგიელები დაამარცხეს და პირველად თავიანთი ქვეყნის ისტორიაში მერვედფინალში გავიდნენ.

საუდელების ბრაზილიელმა თავკაცმა კარლოს ალბერტო პორეირამაც მშვენივრად უწყის, რომ მის ნაკრებს დღევანდელ შეხვედრაში გაცილებით მეტი გარჯა მოუწევს, ვიდრე ეს გასულ ტურში დანიის ნაკრების წინააღმდეგ შეძლო. იმ მატჩში აზიელები მეტად უინიციატივოდ მოქმედებდნენ და ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ მხოლოდ შემთხვევის იმედად იყვნენ.

— შევეცდებით, პირველი ორი შეხვედრის ჯამში ერთი ქულა მაინც დავაგროვოთ. თუ ეს შევძელით, მაშინ შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი კიდევ დაგვერჩება. ჩემპიონატის დაწყებამდე სამხრეთ აფრიკასთან (ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩში საუდელები სწორედ ნელსონ მანდელას ქვეყნის წარმომადგენლებს ხვდებიან — ი.ხ.) სავარაუდო სამ ქულას ვგეგმავდით და ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა ეს განრიგი არ დავარღვიოთ. თუმცა მაინც მეეჭვება, ოთხი ქულით მერვედფინალის საგზური ჩვენ დაგვრჩეს — აცხადებს პარეირა, რომელსაც, ეტყობა, ავიწყდება, რომ სამხრეთაფრიკელები მის გუნდზე არანაკლებ უარეს დღეში არიან და, ალბათ, უეჭველი გამარჯვების მოპოვებას სწორედ საუდეთთან დააპირებენ.

— ფრანგების დამარცხება თითქმის შეუძლებელია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მათთან არც ქულის აღება იქნება იოლი საქმე, მით უმეტეს, ისეთი თამაშით, რომელიც ჩემმა გუნდმა დანიელებთან აჩვენა. საერთოდ, გოლის გატანა საუდეთის ნაკრების აქილევსის ქუსლია. ჩვენ ბევრ მომენტს ვქმნით, მაგრამ დამაგვირგვინებელ დარტყმას თითქმის ვერასდღეს ვერ ვასრულებთ — აშკარაა, რომ პარეირა საფრანგეთში თავისი გუნდის პირველი თამაშით მთლად კმაყოფილი არ არის.

ემე ჟაკე კი დარწმუნებულია, რომ დღეს ფრანგებს კარგა გვარიანი ოფლის ღვრა მოუწევთ, რადგან საუდელები ძირითადად აქცენტს დაცვაზე გააკეთებენ და მთელ ძალას ამას მოახმარებენ.

— ვიცი, რომ 80 ათასიან „სტად დე ფრანსზე" თამაში არცთუ იოლია. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მასპინძლებს უპირისპირდები და მთელი სტადიონი შენს წინააღმდეგაა განწყობილი. ამიტომ ადვილი მისახვედრია, თუ რას მოიმოქმედებენ აზიელები. პარეირას გუნდი მოედნის საკუთარ ნახევარზე ჩაიკეტება და ჩვენი შეტევების ყოველნაირად ჩაშლას შეეცდება. თუმცა მათი ტაქტიკური განზრახვა ამით არ შემოიფარგლება. საუდელებს საუცხოო ფეხბურთელები ჰყავთ, რომელთაც ხელსაყრელ მომენტში მეტად მწვავე კონტრშეტევის განხორციელება ძალუძთ — ამბობს ჟაკე.

სმხრეთაფრიკელთა დამარცხებაში უდიდესი წვლილის შემტანი მცველი ბიქსენტ ლისარასუ კი მწვრთნელის სიფრთხილეს აინუნშიც არ აგდებს და დღევანდელ გამარჯვებაში ეჭვი არ ეპარება:

— პირობას ვერავის მივცემთ, რომ ყველა შეხვედრაში კარს მშრალად შევინახავთ, მაგრამ ვფიქრობ, არავისთვისაა ახალი, რომ საფრანგეთს უძლიერესი უკანა ხაზი ჰყავს. მე მგონი, გუნდის ნახევარმცველები და თავდამსხმელები არ მიწყენენ, თუ ვიტყვი, რომ გუნდში ყველაზე ძლიერი რგოლი სწორედ დაცვაა. ამიტომ საუდეთს, რომელიც მთელი თამაშის განმავლობაში ალბათ საკუთარი კარის უზრუნველყოფაზე იფიქრებს, დღეს ბურთის გატანა უკიდურესად გაუჭირდება. ჩვენ კი პირველი გამარჯვების შემდეგ მშვენიერ ხასიათზე ვართ და მორიგ სამ ქულაზეც ნამდვილად არ ვიტყოდით უარს...

კარლოს ალბერტო პარეირას აზრით, ამ საღამოს საუდელთა მთავარი ამოცანა ფრანგთა ლიდერის, ზინედინ ზიდანის განეიტრალება იქნება. საუდელები კარგად ხვდებიან, რომ ისეთ სივრცეებს, როგორიც მათ დანიელებთან შეხვედრისას ეხსნებოდათ, დღეს „პარკ დე ფრანსზე" არავინ დაუთმობთ. ის კი არა, ღიად დატოვებული ზონების გადაკეტვა თავად მოუწევთ, რადგან დახვეწილი პასის ისეთი ოსტატი, როგორიც იუვენტუსელი ზიდანია, ამგვარ უზუსტობებს არავის პატიობს.

— მას ერთ წამში თამაშის გადატრიალება ძალუძს. გვერდზე გახედვასაც ვერ მოასწრებ, რომ ისეთ რამეს გააკეთებს, რაც მეტოქის გუნდს საშინელ პანიკაში აგდებს. ჩემი აზრით, ზიდანი მსოფლიოში საუკეთესო გამთამაშებელია და ამ ჩემპიონატზეც ბადალი არ ჰყავს. მე უდიდეს სიამოვნებას მგვრის მისი თამაშის ხილვა — აცხადებს პარეირა, რომელსაც დღევანდელ მატჩში აზიის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელის, „უდაბნოს მარადონად" შერაცხული საიდ-ალ-ოვაირანის იმედი აქვს. 1994 წელს ბელგიელთა კარში ზღაპრული გოლის გამტან ოვაირნს დანიელებთან თამაში აშკარად არ გამოუვიდა და საუდელები იმედოვნებენ, რომ მათი ლიდერი ამჯერად მაინც გამოიჩენს ფხას.

დაბოლოს იმასაც ვიტყვით, რომ საფრანგეთის ნაკრებში ერთი ცვლილებაა. სამხრეთაფრიკელებთან დაშავებული სტეფან გივარშის ნაცვლად სასტარტო შემადგენლობაში დღეს კრისტოფ დიუგარი გამოვა. სხვა მხრივ გუნდებს ყველა მოთამაშე მწყობრში ჰყავთ და სრულ მზადყოფნაში ხვდებიან თამაშს.

### გუნდების სავარაუდო შემადგენლობები

**საფრანგეთი:** ბარტეზი, ტურამი, ბლანი, დესაი, ლისარასუ, დეშამპი, პეტი, ზიდანი, ჯორკაეფი, ჰენრი, დიუგარი

**საუდეთი:** ალ დეია, ალ ჯაჰანი, ალ ხილაივი, ზუბრამავი, სულიმანი, ალ შაჰრანი, ამინი, ხ. ალ ოვაირანი, ალ მუვალიდი, ს. ალ ოვაირანი, ალ ჯაბერი

ირაკლი ხმელიძე


სარბიელის არქივიდან

ჟაკე — ვიეირას: საუდეთთან მოგება ადვილი ნუ გგონიათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩემპიონატის დღიური

16 ივნისი

ლაშა გოდყაძე

FRANCE 98

# მშვიდობით...

ჯერ...

„საფრანგეთი 98" მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატია მე-20 საუკუნეში. უდიდეს საფეხბურთო შეიბრებას სათავე 1930 წელს დაედო, შემდეგ კი 16-ჯერ გათამაშდა. ჩვენს პლანეტაზე რაიმე უბედურება თუ არ დატრიალდა, 21-ე საუკუნე გაცილებით მეტი მსოფლიოს ჩემპიონატის მომსწრე იქნება, თუმცა ვინ იცის...

აგერ უკვე ერთი კვირაა, მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყო. ყველა მონაწილემ მეტ-ნაკლებად გაგვაცნო თავი, ფეხბურთელებიც საკმაო რაოდენობით ვიხილეთ. ბევრი მათგანი პირველად წარსდგა გულშემატკივართა წინაშე. ათეულობით მოთამაშე კი ქომაგებმა კვლავ იხილეს მსოფლიოს ჩემპიონატზე. უმეტესობა მართალია ძველებურად ვერ გამოიყურება, მაგრამ მათ თამაშს ხიბლი არ დაუკარგავს, ზოგი მეორედ მონაწილეობს ამ მნიშვნელოვან შეჯიბრებაში და მომავალი ჯერ კიდევ წინ აქვთ, გერმანელი ლოტარ მატეუსი კი საფრანგეთში მყოფ მობურთალთაგან საერთოდაც ერთადერთია, მეხუთე მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშს რომ აპირებს. მართალია, ევროპისა და მსოფლიოს 1990 წლის საუკეთესო ფეხბურთელს საფრანგეთში ერთი წუთიც არ უთამაშია, მაგრამ ლეგენდარული მექ-





არცთუ სასურველი, მაგრამ გარდაუვალია — ბებეტოსთვის ეს უკანასკნელი მსოფლიოს ჩემპიონატია

სიკელი მეკარე ანტონიო კარბახალის რეკორდის თანამფლობელი რომ გახდება (კარბახალი 1950-66 წლებში ზედიზედ ხუთ მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობდა, მატეუსს კი ქვეყნის ღირსება ანალოგიურ ტურნირებზე მხოლოდ ოთხჯერ აქვს დაცული: 1982, 1986, 1990 და 1994 წლებში), ალბათ, ეჭვი არავის ეპარება. კაცმა რომ თქვას, მატეუსის სამსოფლიოჩემპიონატო ნაკრებში ჩართვა გარკვეულწილად ამანაც განაპირობა.

მატეუსისთვის ეს ჩემპიონატი ალბათ, ბოლო იქნება. მისნაირი საფრანგეთში ბევრია, მრავალმა ვეტერანმა ისიც კი განაცხადა, დამთავრდება თუ არა მსოფლიოს ჩემპიონატი, ნაკრებს შევეშვებიო. ახლა სწორედ ისეთ მოთამაშეებზე ვთქვათ, რომელთათვისაც ეს უკანასკნელი მსოფლიოს ჩემპიონატია. მათზე საუბარი ბრაზილიელებით დავიწყოთ. რადგანაც რამდენიმე „განწირულმა" გუშინწინ მაროკოელთა ძლევაში საკმაოდ დიდი როლი ითამაშა.

### ოჰ ეს ბრაზილიელები

დუნგა, ალდაირი, ტაფარელი, ბებეტო — ესენი ბრაზილიური ფეხბურთის უახლოეს ისტორიას და დღევანდელობას წარმოადგენენ. ბოლო სამი მსოფლიოს ჩემპიონატია, ისინი ერთ გუნდში არიან, ერთი მიზნისთვის იბრძვიან. მაროკოელებთანაც ასე იყო, თუმცა ამ შეხვედრაში სიზარმაცის (რაშიც უფრო ასაკია დამნაშავე) გამო ბებეტოს ძველმა მეგობარმა დუნგამ მაინც ულრიალა. ალბათ, არ უნდა ვეტერანს ჩემპიონატი უსახელოდ დაასრულოს, საამისოდ კი ყველა თამაშში მუხლჩაუხრელი შრომაა საჭირო. მიუხედავად უდიდეს საფეხბურთო ტურნირზე განავარდების ბოლო შანსისა, ისინი მუდამ დარჩებიან ფეხბურთის ისტორიაში, როგორც უდიდესი ფეხბურთელები, ხალხი, რომელთაც წარუშლელი კვალი დატოვეს მწვანე მინდორზე და თავიანთი ოსტატობით უამრავი ქომაგი აღაფრთოვანეს. განა შეიძლება, დაივიწყო ტაფარელის ძლიერი თამაში იტალიის 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე, თუნდაც ოთხი წლის შემდეგ ამერიკაში. დაუშვებელია გულშემატკივართ არ ახსოვდეთ დუნგას ლომისებური გარჯა ამერიკაში. ასევე გამორიცხულია, დაივიწყო ბებეტოს ოთხი წლის წინანდელი ბრწყინვალება. ერთი სიტყვით, ბრაზილიური და საერთოდ მსოფლიოს ფეხბურთის ზემოთნახსენები ვარსკვლავები „საფრანგეთი 98"-ის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატზე სავარაუდოდ აღარ იასპარეზებენ, მაგრამ ქომაგთა გულებში სამუდამოდ დარჩებიან.

იყო დრო, როცა ახლა უკვე ვეტერანები მსოფლიოს ჩემპიონატებზე პირველ ნაბიჯებს დგამდნენ. მათ გზას მაშინდელი ვარსკვლავები უთმობდნენ. ასეა ყოველთვის, ძველს, რაც არ უნდა ბრწყინვალე იყოს იგი, მუდამ ახალი ცვლის. ეს ბუნების კანონია. მით უმეტეს ფეხბურთში, სადაც შეუძლებელია, მოთამაშემ ერთ დონეზე, ერთ ადგილზე დიდხანს გაძლოს, რადგან მჯობნის მჯობნი არ დაილევა. მოვა დრო და იმ ბიჭებსაც, რომლებიც ახლა ენაცვლებიან ლეგენდად ქცეულ ბრაზილიელებს, სხვები შეცვლიან.

— ძლიერად ითამაშა გუნდმა, კარგად ირჯებოდა ალდაირი, საიმედო გახლდათ ტაფარელი, ზარმაცობდა, თუმცა მოვალეობას პირნათლად ასრულებდა ბებეტო, შეუდარებელი გახლდათ დუნგა! ისევე ვეტერანები! ისინი ძველებურად ირჯებოდნენ. ქომაგების გასახარებლად ესეც საკმარისია. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ძველებს მხარს ახალგაზრდებიც უმშვენებდნენ, ისიც ნათელი გახდება, რომ ბრაზილია კარგი გუნდია. ისეთი, ჩემპიონობისთვის ბრძოლა რომ ძალუძს. ეს სიტყვები ერთ-ერთ ბრაზილიელ კომენტატორს ეკუთვნის, რომელიც მაროკოელებთან გამარჯვების შემოქმედად სწორედ ზემოჩამოთვლილ ოთხეულს და რონალდო-ლეონარდოს წყვილს მიიჩნევდა.

ბრაზილიაში ფეხბურთი რომ უპირველესი სპორტია, ეს ახალი ამბავი სულაც არ გახლავთ. იქაურნი ფეხბურთზე ჭკუას კარგავენ, ფეხბურთით ცხოვრობენ, ასე რომ, ალბათ წარმოგიდგენიათ, კერპები რა პატივისცემაში ეყოლებათ.

— ეს ჩემი ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატია და მინდა, ძლიერად ვითამაშო. ბედნიერი ვარ იმითაც, რომ სამ ასეთ ტურნირზე მითამაშია, არადა, ბევრისთვის მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის ოცნება ოცნებადვე დარჩენილა. ბრაზილია კვლავ ფავორიტად ითვლება, ვინაიდან მე გუნდის წევრი ვარ, თავს ვალდებულად ვთვლი, თანაგუნდელებს იმედები არ გავუცრუო, საქმეს სერიოზულად მოვეკიდო. თუ თითოეული ჩვენგანი ყველა შეხვედრას ასე მიუდგება, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ბრაზილია კვლავ მსოფლიოს ჩემპიონი გახდება — ოთხგზის ჩემპიონთა კაპიტანი დუნგა იმედიანადაა. როცა აშშ-ში, ფეხბურთის მეფის — პელეს სამშობლო მეოთხედ გახდა ოქროს თასის მფლობელი დუნგა ნაკრების კაპიტანი გახლდათ. იგი ახლაც ამ ფუნქციას ასრულებს. ისახელებენ თუ არა ამჯერად თავს ბრაზილიელები, ამას მალე ვნახავთ.

დაახლოებით იგივე აზრისაა ბებეტოც. მართალია, გუშინწინ მას დუნგასთან საკმაოდ სერიოზული შელაპარაკება მოუვიდა, თან სად? მოედანზე! მაგრამ ამით კაპიტანთან ურთიერთობა სულაც არ გაფუჭებია. მატჩის შემდეგ როცა ჟურნალისტებმა ამის თაობაზე ჰკითხეს, ბებეტომ მიუგო, უთანხმოება დუნგასთან კი არა, უამრავ მოთამაშესთან მომსვლია, მაგრამ აზრთა სხვადასხვაობის გამო ურთიერთობა არავისთან გამფუჭებიაო. ვერაფერს იტყვი, საკმაოდ დიპლომატიური პასუხია.

თავში თქმულს კიდევ ერთხელ დავუბრუნდები. ბრაზილია 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე, დღევანდელთან შედარებით ძალიან განსხვავებული ნაკრებით რომ წარსდგება, ეჭვი არაა. ვეტერანები თავიანთ გზას დაადგებიან, ბუცებს ლურსმანზე ჩამოჰკიდებენ. ზოგიერთი ახალგაზრდა, რომელიც დღეს დიდი მომავლის მქონედ ითვლება, იქნებ ვერც მოხვდეს იმ გუნდში, ახალი სახელებიც გაჩნდება, უბრალოდ ერთ რამეს სამხრეთამერიკელნი და არა მხოლოდ ისინი თავიდან ვერ აიცილებენ — დღევანდელი გუნდის ფეხბურთელები, კიდევ ოთხი წლით დაბერდებიან.

### გერმანია უპირველეს ყოვლისა

...სტატისტიკოსებმა, როცა მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილე ყველა გუნდის განაცხადი მიიღეს, უმალ ათასნაირი ცხრილების შედგენა იწყეს, ერთ-ერთი ასეთი სახის გამოკვლევისას კი დადგინდა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეთა შორის „უხუცესი" გერმანიის ნაკრებია. ბუნდესნაკრების ასაკი საშუალოდ 29 წელია. ეს კი უეჭველად მოთამაშეთა საფეხბურთო სიბერეზე მეტყველებს.

გერმანიის ნაკრები დაბერებულაო კი ვამბობთ, მაგრამ როგორ თამაშობს! ეს „მოხუცები" არათუ ჩამოუვარდებიან მათზე გაცილებით ახალგაზრდებს, არამედ ერთ-ორის გარდა ყველას სჯაბნიან ნებისმიერ საფეხბურთო კომპონენტში. თუნდაც ამერიკელებთან შეხვედრა გავიხსენოთ — გერმანელები მე-ტოქეზე გაცილებით უფროსნი გახლდნენ, ბერტი ფოგტსის გუნდის ნახევარზე მეტი ხომ სამ ათეულ წელს გადაცილებულია მაგრამ გამარჯვება ამერიკასთან შთამბეჭდავად მაინც მოახერხეს. ესეც თქვენი სიბერე.

ამ ჩემპიონატზე ბებერი გერმანელი ლომები თავიანთ სიტყვას კიდევ იტყვიან, აი, მომავალში კი არიელთა გუნდი ძირფესვიანად რომ გადახალისდება, ამას თქმა არ უნდა. იურგენ კლინსმანი, ანდრეას კეპკე, ანდრეას მიოლერი, შტეფან როიტერი, იურგენ კოლერი — ეს იმ დაბერებულ გერმანელთა არასრული ჩამონათვალია, რომელთათვისაც ალბათ საფრანგეთში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატი ბოლო იქნება.





რობერტო ბაჯოს ბრინჯაოსა და ვერცხლის მედლების შემდეგ ოქროს მოპოვება სწადია

— მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ სანაკრებო კარიერას დავასრულებ — განაცხადა ნაკრების კაპიტანმა იურგენ კლინსმანმა, რომლისთვისაც ეს მესამე მსოფლიოს ჩემპიონატია. 1990 და 1994 წლებშიც პოლიგლოტი კლინსმანი (თავდამსხმელი თავისუფლად საუბრობს ინგლისურ, ფრანგულ და იტალიურ ენებზე) გუნდის ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ. ახლაც ასეა. კლინსმანი ნაკრების სული და გულია. რაც მთავარია, მას სურს ეროვნულ გუნდს გამარჯვებული გამოეთხოვოს, მსოფლიოს ჩემპიონატში გამარჯვებული!

— რატომღაც ბევრი ჩვენს შანსებს არასათანადოდ აფასებს, თვლიან, რომ სამსოფლიოჩემპიონატო გერმანიის ნაკრები პენსიონერებითაა დაკომპლექტებული. ეს ჩვენთვის, მოთამაშეთათვის გარკვეულწილად საწყენია და ამავდროულად სტიმულიცაა. მავანთა დაუფიქრებლად ნათქვამმა ჩვენზე კარგად იმოქმედა. საფრანგეთში გერმანია მეოთხედ გაჩემპიონების სურვილით ჩავიდა. ჩვენ ყველას დავანახებთ, თუ რისი თავი აქვთ გერმანელ პენსიონერებს — გუნდის ერთ-ერთმა ყველაზე გამოცდილმა მოთამაშე იურგენ კოლერმა ეს სიტყვები საფრანგეთში ჩასვლამდე განაცხადა, რამდენიმე დღეში კი სიტყვაც აასრულა — სამ ათეულ წელს გადაცილებულ მცველს ახალგაზრდა ამერიკელებმა ვერაფერი დააკლეს, მეტიც, დაცვაში უსაქმურობისგან კოლერი თავდამსხმელებს შეტევაშიც ეხმარებოდა.

კოლერმა თითქმის ყველა გერმანელი ვეტერანის სათქმელი თქვა. ბებერ ბუნდესნაკრებს ნამდვილად ძალუძს გაცილებით ახალგაზრდა, თითქოსდა კარგი ფეხბურთის მოთამაშე გუნდი „იმსხვერპლოს." თან თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ 22 გერმანელი მოთამაშიდან მინიმუმ თხუთმეტისთვის მაინც ეს ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატია, მაშინ ბერტი ფოგტსის გუნდის მიზნები ადვილი გასაგები გახდება.

### ბრწყინვალე სკანდინაველი და აპენინელები





დიდი გერმანელი — იურგენ კლინსმანი მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ნაკრებს ეთხოვება

არიან ბრაზილიელი ვეტერანები, არიან მოხუცი გერმანული მობურთალენიც, თუმცა ამათ გარდა მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილე სხვა ნაკრებშიც არიან ისეთნი, რომლებიც ამ უპირველეს ასპარეზობაზე თამაშის შანსს ხელში ველარ ჩაიგდებენ. ასეთნი საკმაოდ ბევრნი არიან, მაგრამ ამჯერად მხოლოდ სამ მათგანზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას — ორ იტალიელზე და ერთ დანიელზე.

დანიას მსოფლიოს ჩემპიონატზე აქამდე ერთადერთხელ უთამაშია, 1986 წელს. მაშინ „დანიურმა დინამიტმა" ჯგუფში სენსაცია მოახდინა —სამივე შეხვედრა მოიგო. მათ შორის გფრ-ს გუნდსაც სძლია, თუმცა ძლევამოსილი სვლა მეორე ეტაპზევე დაასრულა — ესპანეთმა 5:1 გაანადგურა და ასპარეზი დაატოვებინა.

დღეს დანია მეორედაა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, მიქაელ ლადრეუპი კი პირველი დანიელი გახდა ორ მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ უთამაშია. დიახ, იგი 1986 წელსაც ნაკრებში გახლდათ.

— მწვრთნელთან კონფლიქტების გამო ნაკრებში ბევრი დავკარგე, რასაც ვერ დავიბრუნებ. ახლა, როცა კარიერის ბოლო მნიშვნელოვან ტურნირში ვთამაშობ, შევეცდები გუნდის საკეთილდღეოდ ყველაფერი ვიღონო. ეს უბრალოდ ჩემი ვალია — მიქაელ ლაუდრუპს მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ კარიერის დასრულება აქვს გადაწყვეტილი.

ფეხბურთს არ გამოეთხოვებიან, მაგრამ იტალიელი რობერტო ბაჯოსა და ჯუზეპე ბერგომისთვის ეს სავარაუდოდ ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატი იქნება.

გასაოცარია ორივე ფეხბურთელის სანაკრებო კარიერა — რობერტო ბაჯო მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველად 1990 წელს გამოჩნდა. მაშინ შინ მოპოვებულ ბრინჯაოს მედალს ოთხი წლის შემდეგ აშშ-ში ვერცხლიც დაუმატა. წელს კი მესამედ გაემგზავრა მსოფლიოს ჩემპიონატზე, თუმცა ამჯერად მკაფიო გამოხატული მიზნით — ოქროს თასი იტალიამ უნდა მოიგოს და თავადაც ჩემპიონი უნდა გახდეს.

ჯუზეპე ბერგომი — ეს ხომ საერთოდაც კაცი საოცრებაა: 1982 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, ახლა, თექვსმეტიწლის შემდეგ, იგი კვლავ მსოფლიოს ჩემპიონატზეა. 1994 წლის სამსოფლიოსჩემპიონატო ნაკრებში რომ მოხვედრილიყო, მას ახლა კარბახალის რეკორდის გამეორების შანსი ექნებოდა, თუმცა...

— მინდა 1982 წლის მიღწევა გავიმეორო. მე მსოფლიოს ჩემპიონი იტალიის ერთ თაობასთან გავხდი. იგივე მინდა ახლა მოვიმოქმედო. მწამს, ჩვენ გაჩემპიონება ძალგვიძს — როგორც ყველა ვეტერანს, ბერგომისაც სურს, მსოფლიოს ჩემპიონატს გამარჯვებული გამოეთხოვოს.

# ფაუსტინო, შე ჭორიკანა!

მთელ დედამიწის ზურგზე ალბათ არ მოიძებნება ფეხბურთის გულშემატკივარი, კოლუმბიის ნაკრებისა და იტალიური „პარმას“ თავდამსხმელ ფაუსტინო ასპრილიას უცნაური ხასიათის შესახებ რომ არ უწყოდეს. მართლაც, ბრწყინვალე ფორვარდი დროგამოშვებით ისეთს მოიმოქმედებს, ზრდილ და კეთილსინდისიერ ადამიანს ვერაფრით უწოდებ. მას ხან მწვრთნელის გადაწყვეტილება არ მოსწონს, ხანაც თანაგუნდელების საქციელს იწუნებს. მისი ხასიათი დიდი ხანია ყველას ყელში ამოუვიდა და ამის გამო ხშირად პრობლემებიც ექმნებოდა, მაგრამ კოლუმბიის ნაკრებიდან გარიცხვას თუ დაუპირებდნენ, ამას ასპრილია მაინც ვერ წარმოიდგენდა. ინგლისის „ნიუკასლისა“ და „პარმას“ ხელმძღვანელებთან მუდმივად უთანხმოებაში მყოფმა ეტყობა ჭკუა ვერ ისწავლა და ჭორიკანა დედაკაცივით ენის ტარტალს კვლავაც თავს არ ანებებს.

სამშაბათს კოლუმბიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ერნან დარიო გომესმა განაცხადა, რომ ასპრილიას შესაძლოა ჩემპიონატის დატოვება მოუხდეს. ეს სენსაციური ცნობა ჟურნალისტებმა მაშინვე აიტაცეს და მთელ ქვეყანას მოსდეს. სიახლე იმდენად მოულოდნელი და სენსაციური იყო, რომ უმალ გაავრცელა პრესამ, რადიოსა თუ ტელევიზიის საინფორმაციო გამოშვებებმა. მაინც რა მოხდა, რით დაიმსახურა ასპრილიამ მწვრთნელის გულისწყრომა? როგორც აღმოჩნდა, პარმელ თავდამსხმელს სულაც არ მოსწონებია, როცა რუმინელებთან 0:1 წაგებულ შეხვედრაში მოედნიდან გაიყვანეს. არადა, თითქოს სამდურავი არც არაფერი ჰქონდა, რადგან მთელი თამაში ჩაატარა და მხოლოდ მატჩის მიწურულს გამოცვალეს, როდესაც გომესმა მინდორზე გუნდის ახალბედა ფორვარდი ლიდერ პრესიადო შეუშვა. გულმოსულმა ასპრილიამ მოედანი სწრაფად დატოვა და მწვრთნელისთვის არც კი უკითხავს, ისე გაემართა ნაკრების გასახდელში. წაგებული მატჩის მეორე დღეს კოლუმბიელ ფეხბურთელებს ერთი დღით დასვენების უფლება მიეცათ. ხელმძღვანელებმა მოთამაშეებს ფსიქოლოგიური დატვირთვისგან უკეთ გამოსვლის მიზნით ამ დღეს მათი სურვილისამებრ გამოყენების ნება დართეს. პარმელიც იმწამსვე პარიზს გაფრენილა, სადაც კოლუმბიის ქალაქ კარასოლის რადიორეპორტიორს შეხვდა და თავისი გულისწყრომა გაუზიარა: ფეხბურთელის გაღიზიანების მიზეზი ის ყოფილა, რომ მოედანზე რუმინელებთან შეხვედრისას თურმე ბევრი თანაგუნდელი ასპრილიაზე ცუდად ირჯებოდა, მაგრამ გომესმა რატომღაც ამათ ნაცვლად, ყველაზე უკეთესად მოთამაშე პარმელი გაიყვანა მოედნიდან. ამრევი განსაკუთრებით გუნდის ვეტერან კარლოს ვალდერამასადმი იყო მტრულად განწყობილი და ინტერვიუში სწორედ მის სუსტ თამაშზე გაამახვილა ყურადღება.

— თუ ყოველივე ის, რასაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებები აცხადებენ, მართალია და ასპრილიამ ჩემს წინააღმდეგ მართლაც გაილაშქრა, მაშინ მას უღირსი საქციელის გამო გუნდის დატოვება მოუწევს. მე პირადად დაველაპარაკები ფეხბურთელს და შევეცდები დავარწმუნო, რომ მართალი არ არის, მაგრამ თუ არაფრის გაგონება არ მოისურვა, ყოველგვარი განმარტების გარეშე საფრანგეთიდან შინ გავამგზავრებთ — განაცხადა გომესმა ლიონიდან 60 კილომეტრით დაშორებულ კოლუმბიის ნაკრების საწვრთნელ ბაზაზე ჟურნალისტებთან საუბრისას.

მთავარი მწვრთნელის თანაშემწე ხუან ხოსე პელესის თქმით, კოლუმბიელ ფეხბურთელებს ჯგუფური ტურნირის მეორე თამაშისთვის მზადება ოთხშაბათს უნდა დაეწყოთ. ამიტომ გუნდის ყველა წევრს ამ დროისთვის საწვრთნელ ბაზაზე ყოფნა ევალებოდა. დათქმულ დროს ბაზაზე მართლაც ყველა კოლუმბიელი შეიკრიბა ასპრილიას გარდა, რომელსაც სენსაციური რეპორტაჟების გაკეთების სურვილით შეპყრობილი კორესპონდენტები სულ ამაოდ ელოდნენ რამდენიმე საათის განმავლობაში.

კოლუმბიელებს ჯგუფური ტურნირის მეორე შეხვედრა ტუნისელებთან ელით. მატჩი ორშაბათს მონპელიეში გაიმართება და სამხრეთამერიკელებს სურთ მანამდე დარჩენილ სამ დღეში რაც შეიძლება, კარგად მოემზადონ, რადგან კიდევ ერთი წარუმატებლობა და ისინი 1994 წლის მსგავსად ნაადრევად დატოვებენ მსოფლიოს ჩემპიონატს.

გომესმა კარგად იცის, რომ ასპრილიას გარეშე გუნდს უზომოდ გაუჭირდება, მაგრამ იხტიბარს არ იტეხს და თავისი გადაწყვეტილების შეცვლას სრულიადაც არ აპირებს.

— ეს ასპრილიას პირველი გამოხდომა არ გახლავთ. იგი მსგავსი საქციელით ადრეც გამოირჩეოდა და ხშირად დიდი ჯარიმების გადახდაც მოუხდა, მაგრამ ახლა სულ სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე. ეროვნულ ნაკრებში თამაში ნებისმიერი ფეხბურთელისთვის დიდი პატივი უნდა იყოს და გარკვეულ კანონებს, როგორც წესი, ყველა ერთნაირად უნდა დაემორჩილოს. ფაუსტინოს ზედმეტი მოუვიდა და ამას ალბათ ვერავინ უარყოფს.

რუმინელებთან სუსტად ჩატარებული მატჩის შემდეგ, 1990 და 1994 წლების მსოფლიოს ჩემპიონატების მონაწილე ვეტერანმა ვალდერამამ და პარმელმა ასპრილიამ, ერთნაირად დაბალი შეფასება მიიღეს. კოლუმბიური გაზეთი „ელ ტემპოს“ მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით, ჟურნალისტებმა ათი შესაძლებელი ბალიდან პირველ თამაშში ორივე ფეხბურთელს მხოლოდ ოთ-ოთხი ქულა დაუწერეს. ალბათ ესეც იყო ფაუსტინოს განრისხების ერთ-ერთი მიზეზი. არადა, მატჩის დაწყებამდე ასპრილია სულ სხვაგვარი ზრახვებით იყო ანთებული. მას ძალიან სურდა, ნაკრებს რუმინელებთან შურისძიებაში მიხმარებოდა. ოთხი წლის წინ ხომ ამერიკაში ერთ-ერთ ფავორიტად ჩასულ კოლუმბიის ნაკრებს სწორედ ხაჯიმ და კომპანიამ მოუთავეს ხელი, 3:1 დაამარცხეს და ფაქტობრივად მათ წარმატებულ სვლას სათავე დაუდეს. პარმელი უდიდესი თავდადებით ემზადებოდა ამ თამაშისთვის და საწვრთნელ ბაზაზე გუნდის დანარჩენ წევრებთან უთანხმოების არანაირ ნიშანს არ იძლეოდა. მან იცოდა, რომ რუმინელებთან შეხვედრისას თავდასხმაში ძირითადად მარტოს მოუწევდა ყოფნა, რადგან მეორე ფორვარდი მწვრთნელის დავალებით უფრო ნახევარდაცვას უნდა მიხმარებოდა. გომესის ჩანაფიქრს ასპრილია ერთგვარი სიხარულითაც კი შეხვდა და აღუთქვა, რომ ყველაფერს გაიღებდა „ძველი მტრების“ კარის დასალაშქრად.

პირველ ტაიმში ფაუსტინოს ასე თუ ისე ეხმარებოდნენ, მაგრამ ძირითადად მაინც მარტოს უხდებოდა რუმინელ მცველებთან ჭიდილი. საერთოდ კოლუბიელთაგან ყველა არასახარბიელოდ გაისარჯა. თუმცა ასპრილიას თანაგუნდელებისთვის ამგვარი რამ მაინც არ უნდა ეკადრებინა...

აყალმაყალის ატეხვა და არასათანადო საქციელი ასპრილიასთვის უცხო ნამდვილად არ არის. მის „საგმირო საქმეებში“ კი ორ შემთხვევას გამორჩეული ადგილი უკავია. პირველად თავდამსხმელს ცნობისმოყვარე ჟურნალისტი არ მოუვიდა თვალში, როცა ეს უკანასკნელი ვარსკვლავის გადაღებას მეტად აქტიურად ცდილობდა და საბრალომ განრისხებული ფეხბურთელის მუშტი მიიღო. მეორედ ფაუსტინომ 1993 წელს გამოიჩინა თავი. ამერიკის მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირში კოლუმბიელები წარმატებით ასპარეზობდნენ, მაგრამ ერთ-ერთი მატჩისთვის გუნდის მაშინდელმა მწვრთნელმა პაჩო მატურანამ ასპრილიას ნაკრებში მიწვევაზე უარი განაცხადა. ფეხბურთელი იმდენად განაწყენდა, რომ სატელევიზიო ინტერვიუში ისიც კი თქვა, ნაკრებიდან სამუდამოდ მივიდივარ და იცოდეთ, უკან დამბრუნებელი აღარ ვარო. მაგრამ მეორე დღეს კვლავ საწვრთნელ ბაზაზე გამოცხადდა, ყველას ბოდიში მოუხადა და თავისი საქციელით გული მოულბო. თანაგუნდელების დახმარებით მალე მატურანაც შემოირიგა და ნაკრების ძირითად შემადგენლობაში ადგილიც დაიბრუნა. ახლა კი...

**ირაკლი ხმელიძე**



REUTERS

ასპრილიას ყიამყრალობამ კოლუმბიელთა თავკაცი გომესიც (მარცხნივ) გააცოფა და თავად ფაუსტინოც შავ დღეში ჩააგდო

# მსაჯებს წითელი ამოუღეს

გახსოვთ, ალბათ, მსოფლიოს ჩემპიონატის წინ ფიფამ ახალი წესები შემოიღო და ამიტომაც გულშემატკივრები კიდევ უფრო დიდი გულისფანცქალით ელოდნენ საფრანგეთის ცხელი ბატალიების ხილვას. ახლა კი ატყდება წითელ-ყვითელი ბარათების ფრიალიო — ფიქრობდნენ მავანნი და, ალბათ, ასეთი აზრი თავად ფეხბურთელებსაც არ ასვენებდა. მკითხველი უთუოდ მიხვდებოდა, რომ საუბარია ფიფას წესზე, რომლის მიხედვითაც მეტოქისთვის უკნიდან ართმევის უხეში ცდა უმალ უმკაცრესად ისჯება და არბიტრი ვალდებულია, დამნაშავე ფეხბურთელი მოედნიდან მიაბრძანოს. წესი წესად, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატზე აგრე უკვე ოცდაორი შეხვედრა ჩატარდა და მსაჯებისგან მოსალოდნელი პრინციპულობა რატომღაც არ ჩანს.

მსოფლიოს ფეხბურთის მამებმა იგრძნეს, რომ მოთამაშეების სასარგებლოდ შემოღებულ წესებს არავინ ასრულებს და მკაცრი ღონისძიებებით სიტუაციის შეცვლა სცადეს. მსაჯების მიმართ საყვედურო სიტყვებს საფრანგეთში ჩასული გუნდების მწვრთნელები არც აქამდე იშურებდნენ, ხოლო გუშინ ამ უკმაყოფილოთა დიდ ამალას თვით ფიფას ახლადდანიშნული პრეზიდენტი ზეპ ბლატერი და ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტი, ლეგენდარული მიშელ პლატინი შეუერთდნენ.

წარსულში ცნობილი ფრანგი ფეხბურთელის განცხადებით, მსაჯები ხშირ შემთხვევაში ვერ უმკლავდებიან თავიანთ მოვალეობას და ფიფას ახალი დებულების განხორციელებაც არცთუ იშვიათად ავიწყდებათ.

— მსოფლიოს ჩემპიონატის რამდენიმე მსაჯი აშკარად ვერ პასუხობს იმ დონეს, რომელიც საერთაშორისო კატეგორიის არბიტრს მოეთხოვება. მათ უბრალოდ ალღო ვერ აუღეს სიახლეს და ამიტომ საფრანგეთის მინდვრების დატოვება მოუწევთ. ისინი, ვინც უკნიდან უხეში თამაშისთვის დამნაშავეები წითელი ბარათით არ დასაჯეს, ჩემპიონატიდან მოიხსნებიან — განაცხადა პლატინიმ, რომელმაც ჟურნალისტებს პირველი ორი უიღბლოს ვინაობაც გაანდო. ესენი ჩემპიონატის გახსნის მატჩის არბიტრი, ესპანელი გარსია არანდა და ნიგერიელი ბუშერდუ არიან. შეგახსენებთ, რომ ეს უკანასკნელი იტალია — ჩილეს შეხვედრას სჯიდა.

— არბიტრების უმეტესობას მატჩი კარგად მიჰყავს, მაგრამ ისინი თვითონ თამაშს ვერ გრძნობენ. მაგალითად, ზოგიერთი მაშინ აჩერებს შეხვედრას, როდესაც შემტევი გუნდის ფეხბურთელი თამაშგარეთ აღმოჩნდა, მაგრამ ბურთი ამ დროს უკვე მეტოქეს აქვს. ამ შემთხვევაში სასტვენი დაზარალებულის სასარგებლოდ გაისმის, რადგან მეტოქე კონტრშეტევის წამოწყებას აპირებდა, რომელიც მსაჯის გამოისობით ჩაიშალა. ვფიქრობ, არბიტრის ოსტატობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ სასტვენი მხოლოდ საჭირო მომენტში გამოიყენოს. შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს მხოლოდ პროფესიონალების აღზრდაში ვხედავ, რადგან დღევანდელ ფეხბურთში უმაღლეს დონეზე მსაჯობა იმდენად რთულია, რომ ამის გაკეთება ყველას არ ძალუძს. ვფიქრობ, პროფესიონალი არბიტრები ყოფილ ფეხბურთელებს შორისაც შეიძლება მოვიძიოთ — ესეც ფრანგის სიტყვებია.

პლატინის შენიშვნები ფიფას პირველმა კაცმა ზეპ ბლატერმა აიტაცა:

— მსაჯებს სრულიად დაავიწყდათ, რომ მეტოქისთვის ბურთის უკნიდან არაკორექტულად ართმევის მცდელობისთვის ფეხბურთელი წითელი ბარათით უნდა დასაჯონ. მათ არც ის ახსენდებათ, მეკარეებს ბურთის დაყოვნებისთვის ოდენ ოთხიდან ექვს წამამდე რომ აქვთ დათმობილი. არადა, ჩემი დაკვირვებით, გოლკიპერები საკმაოდ ხშირად გაცილებით მეტი ხნის განმავლობაში იჭერენ ბურთს და მაინც დაუსჯელნი რჩებიან. ის კი არა, აქამდე ერთ შემთხვევასაც კი ვერ ვიხსენებ, მსაჯს მსგავსი დანაშაულისთვის საჯარიმო დარტყმა დაენიშნოს — შვეიცარიელი ორშაბათს „პარკ დე პრენსზე“ გამართულ გერმანია — აშშ მატჩის შემდეგ ჟურნალისტებთან შეხვედრისას მეტად გაცხარებული საუბრობდა.

— უკნიდან ფეხის დადების წესს რაც შეეხება, ეს დებულება დიდი ხნის მანძილზე მუშავდებოდა და საბოლოოდ საერთაშორისო საბჭომაც მიიღო. ფიფას აღმასრულებელმა კომისიამ ეს გადაწყვეტილება დაამტკიცა და არ შეიძლება მსაჯებმა ასეთი სერიოზული კანონი თავიანთი შეხედულებისამებრ გამოიყენონ. წესი იმისთვის არსებობს, რომ იგი შესრულდეს. არბიტრები კი ერთგვაროვან სიტუაციებს სხვადასხვა მატჩში სრულიად განსხვავებულად აფასებდნენ. მაგალითად რამდენიმე თამაშის დასახელება შემიძლია, სადაც ფეხბურთელი უკნიდან უხეში შეტევისთვის მოედნიდან უნდა მიებრძანებინათ.

მსაჯებს გარჯა სხვა ოფიციალურმა პირებმაც დაუწუნეს, ხოლო მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე გუნდების მწვრთნელებმა მათ მიმართ აშკარა პროტესტი გამოთქვეს. ჰოლანდიელთა თავკაცი გუს ჰიდინკი თვლის, რომ მსაჯებმა უფრო მეტი სიმკაცრე უნდა გამოიჩინონ, რათა ტექნიკური ფეხბურთელები არასასურველი ტრავმებისგან იხსნან.

— ასე არ შეიძლება. ჩემი გუნდის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე მარკ ოვერმარსს ფეხები ჩაულურჯეს. მას ყოველი მხრიდან უმოწყალოდ ურტყამენ და მეტოქეთა ეს ქმედება ყოველთვის დაუსჯელი რჩება. ბულგიელებთან მატჩის შემდეგ კი საბრალო მარკი ნორმალურად ვერ დადიოდა.

ფრანგთა დამრიგებელ ჟაკეს კონკრეტული ფეხბურთელები არ დაუსახელებია, მაგრამ ის, რომ მსაჯების მოქმედებით არცთუ კმაყოფილია, არ დაუმალავს.

— მოველოდი, რომ მსაჯობა მსოფლიოს ჩემპიონატზე გაცილებით მაღალ დონეზე იქნებოდა. მათი სიზუსტის მიზეზი კი ისაა, რომ ისინი არასაკმარისად მკაცრები არიან. ვფიქრობ, მიღებული წესი აუცილებლად უნდა დაიცვან, რათა ერთხელ და სამუდამოდ აღიკვეთოს თავდამსხმელებზე ნადირობა. უხეშობა ხომ ასე უმოწყალოდ ჰკლავს ულამაზესით თამაშის სულს.“

**ირაკლი ხმელიძე**



სარბიელის არქივიდან

დღეიდან მსაჯები ალბათ უფრო გამკაცრდებიან

## იცით თუ არა, რომ...

...ბრაზილიის ნაკრებისთვის მაროკოელებთან 3:0 გამარჯვება მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე ჩატარებული უკანასკნელი 17 მატჩიდან მე-11 გახლდათ, რომელშიც მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონებს გოლი არ გაუშვიათ. ბოლო ექვსი ჩემპიონატში გამართულ 29 შეხვედრაში მხოლოდ ორი გუნდი იყო ისეთი, რომლებმაც ბრაზილიელებს ერთ თამაშში ორი და მეტი გოლი გაუტანეს. 1982 წელს მომავალმა ჩემპიონმა იტალიამ 3:2 მოუგო სამხრეთამერიკელებს, ხოლო 1994 წელს ასეთივე ანგარიშით ჰოლანდიელებთან თავად ბრაზილიელებმა იმარჯვეს.

* * *

...ბრაზილიელები მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე აფრიკული ფეხბურთის წარმომადგენელს ბოლოს 1994 წელს შეხვდნენ. მაშინ სამხრეთამერიკელებმა კამერუნს 3:0 მოუგეს და ერთი გოლი ბებეტომ გაიტანა.

* * *

...მაროკოს ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალური ეტაპის ბოლო ექვსი მატჩიდან ხუთი წააგო. მათი ერთადერთი საპატიო ანგარიში საფრანგეთში დაფიქსირდა გასულ ოთხშაბათს, როცა აფრიკელებმა ნორვეგიელებთან 2:2 ითამაშეს.

* * *

...ნორვეგიელთათვის გუშინწინ შოტლანდიელებთან ფრედ 1:1 ნათამაშევი მატჩი ზედიზედ მესამე ყაიმი გახლდათ იმ შეხვედრებში, რომლებიც სკანდინავიელებს მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე გაუმართავთ. გასულ ოთხშაბათს მაროკოსთან 2:2-ის გარდა მათ წინა მსოფლიოს ჩემპიონატის ბოლო მატჩიც ფრედ 0:0 დაასრულეს ირლანდიელებთან.

* * *

...შოტლანდიის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე გამართული ბოლო 10 მატჩიდან მხოლოდ ერთი მოუგია. სულ ამ ტურნირზე ჩატარებული 22 შეხვედრიდან კი წარმატებისთვის ოდენ 4-ჯერ მიუღწევია.

# საბრალონი...

სამხრეთაფრიკელ პოლ ევანსისთვის მსოფლიოს ჩემპიონატში თამაშის ოცნება მოულოდნელად ჩაიფერფლა. 24 წლის მეკარემ ორშაბათს გუნდის საწვრთნელ ბაზაზე გასახურებელი თამაშისას მუხლი დაიზიანა და იძულებული შეიქნა, ნაკრებს დამშვიდობებოდა. „ბაფანა ბაფანას“ ექიმის განცხადებით, ერთ-ერთ მცველთან შეჯახების შედეგად დაშავებული ევანსი სასწრაფოდ ჰოსპიტალში გააქანეს, სადაც მენისკის ტრავმა დაუდგინდა. უიღბლოს რვა კვირით მაინც მოუწევს დასვენება.

სულ რამდენიმე დღის წინ ევანსი ალბათ ვერც იფიქრებდა, საფრანგეთში წასვლა თუ მოუხდებოდა. სამხრეთაფრიკელთა თავკაც ფილიპ ტრუსიეს მიერ სამსოფლიოსჩემპიონატოდ შერჩეულ 22 კაცს შორის იგი ვერ მოხვდა და შინ დარჩა, მაგრამ მოულოდნელად სამხრეთაფრიკელთა მეკარე ანდრე არენდსე ზედ ჩემპიონატის დაწყების წინ სერიოზულად დაშავდა და „ბაფანა ბაფანას“ ხელმძღვანელებს სასწრაფოდ სათადარიგო მეკარის საფრანგეთში წაყვანა მოუხდათ. არინსე გუნდის ძირითად შემადგენლობაში არ იყო. უფრო მეტიც, მწვრთნელებს იგი მხოლოდ საგანგებო შემთხვევისთვის ჰყავდათ წაყვანილი და ორი რჩეული გოლკიპერის ავადმყოფობისას თუ ანდობდნენ კარის დაცვას. მისმა ტრავმამ კი ევანსს, რომელიც სამხრეთ აფრიკაში უელსიდან გადაბარგებულთა ოჯახში დაიბადა და ქვეყნის ნაკრებში ჯერ არ უთამაშია, მოულოდნელად მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოსვლის შანსი მიეცა. „მე ძლიერ ვწუხვარ ანდრეს ტრავმის გამო, მაგრამ ისიც მინდა ვთქვა, რომ აქ ყოფნა ჩემთვის უდიდესი ბედნიერებაა“ — თქვა ევანსმა საფრანგეთში ჩასვლისას. მაგრამ რა იცოდა საბრალომ, განგება რა განსაცდელს უმზადებდა. მისმა ოცნებამ, ჩემპიონატში ეთამაშა, მხოლოდ ოთხი დღე გასტანა და მერე სიზმარივით გაქრა...

# ჰიდინკის ჩივილი

ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელმა გუს ჰიდინკმა ფიფაში პროტესტის წერილი გააგზავნა და ახლა პასუხს ელის. წერილში ჰიდინკი დიდმოხელეებს უხსნის, რომ პატრიკ კლუივერტმა მოწინააღმდეგე ლორენცო სტალენსთან თავად კი არ ატეხა ძიძგილაობა, არამედ ბელგიელ ფეხბურთელთა შეურაცხმყოფელ წამოძახილებს გასცა პასუხი.

ჰიდინკი წერს, რომ სტალენსმა სულაც შეიძლება განზრახ შეაგინა კლუივერტს, რათა მისგან საპასუხო რეაქცია გამოეწვია.

„შესაძლოა, ფიფას სურს იცოდეს, რა სიტყვებზეა საუბარი. ამას მხოლოდ პატრიკთან საუბრის მერე ვიტყვი. მე კლუივერტის დისკვალიფიკაციის გაუქმებას არ ვითხოვ, უბრალოდ, ზოგიერთ გავრცელებულ კომენტარს მინდა გავცე პასუხი“ — განმარტა ჰიდინკმა — „მე წერილი დავწერე და პასუხს ველი.“

ეს ამბავი ჰოლანდიელთა მწვრთნელმა ხალხს სამშაბათ საღამოს მონაკოში ჩატარებული წვრთნის მერე ამცნო.

ჰიდინკმა წერილი კვირის დასაწყისშივე აფრინა, როგორც კი შეიტყო, რომ ფიფას სადისციპლინო კომიტეტმა მის ფორვარდს ორთამაშიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. თურმე წერილში ჩხუბის გამომწვევი საგანგებო ვითარებაა დაწერილი.

ჰიდინკი ჩივის, რომ სტალენსმა ხელის კვრა თეატრალური წაქცევით გააფორმა და კლუივერტის საქციელი მთლიანად ბელგიელის პროვოცირებული იყო.



სარბიელის არქივიდან

კლუივერტი აშკარად არასპორტული გაგების კაცია

მწვრთნელმა ბრძანა, რომ იცის, რაც ილაპარაკა სტალენსმა პრესკონფერენციაზე, მაგრამ არც თავად და არც კლუივერტი კომენტარს არ გაუკეთებენ.

კლუივერტმა ერთადერთი ის განაცხადა, რომ სტალენსის ლანძღვა მის წარსულთან იყო დაკავშირებული, მაგრამ რასისტული არ ყოფილა.

ფიფასთვის რაღაც წერილი სტალენსსაც გაუგზავნია.

ჰოლანდიას შემდეგი თამაში შაბათს, მარსელში კორეასთან აქვს. ჰიდინკმა ამაზეც ისაუბრა, თქვა, რომ კორეელთაგან ძლიერ თავდაცვასა და ბელგიელთა მაგვარ ფეხბურთს ელის.

„ეჭვი არაა, მათ კონტრშეტევა ექნებათ დაგეგმილი და სწორედ ამისთვის უნდა მოვემზადოთ“ — თქვა ჰიდინკმა — „რამდენიმე სცენარი შეიძლება განვითარდეს, მაგრამ რაც უნდა მოხდეს, ჩვენ იმაზე უკეთ უნდა ვითამაშოთ, ბელგიასთან რომ ვითამაშეთ.“



სარბიელის არქივიდან

ვან დერ ელსტი სიბერეს არ იტყობს

# ერიკ, მე შენზე მაგარი ვარ!

მსოფლიოს ჩემპიონატებს ერთი რამ სჩვევია — იქ მოთამაშე მობერებული ფეხბურთელები მისი დამთავრებისთანავე სანაკრებო კარიერას ასრულებენ. ანუ, ამ ტურნირს ვარსკვლავებიც აღმოუჩენია და დიდი ფეხბურთელების აქტიური სპორტიდან წასვლის ხშირი მოწმეც გამხდარა. თუნდაც პელე და ბრაიტნერი ავიღოთ. პირველი სულ 17 წლის იყო, როდესაც 1958-ში შვედეთის სტადიონებზე გაიბრწყინა და თავის დიდებას სათავე დაუდო, ხოლო ბრაიტნერმა 1982 წელს, ესპანეთში, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გოლი გაიტანა და ნაკრებსაც გამოემშვიდობა. ბევრი ასეთი მაგალითის დასახელება შეიძლება, მაგრამ ახლა მხოლოდ ერთ ფეხბურთელზე, ბელგიის ნაკრების ვეტერან კაპიტანზე, ფრენკი ვან დერ ელსტზე ვისაუბრებთ.

იგი თავიდან „მოლენბეკის“ ღირსებას იცავდა, მერე კი „ბრიუგეში“ გადავიდა და იქ მთელი 14 წელი დაჰყო. ვან დერ ელსტი ყოველთვის მაღალი კლასის, გამრჯე ფეხბურთელად ითვლებოდა. ეს თვისებები მას არც ახლა დაუკარგავს და მიუხედავად თავისი 37 წლისა, იგი ნაკრების თავკაცმა ჟორჟ ლიკენსმა სამსოფლიოსჩემპიონატო განაცხადში შეიყვანა, მეტიც, ვან დერ ელსტი საფრანგეთი 98-ზე თავისიანებს უკაპიტნებს კიდეც. თუმცა, როგორც მან ერთ-ერთ უკანასკნელ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ამ ტურნირის შემდეგ ნაკრებში თამაშს აღარ აპირებს: „უკვე 37 წლის ვარ, მაგრამ ლიკენსმა მაინც მიმიწვია და მინდა, ამისთვის მადლობა ვუთხრა. ძალიან დიდი ბედნიერებაა მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში, თანაც კაპიტნის რანგში. თუმცა ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული, საფრანგეთი 98-ის შემდეგ ბელგიის ნაკრებს უნდა გამოვემშვიდობო“ — აღნიშნა სიტყვაძუნწობით ცნობილმა ნახევარმცველმა.

ვან დერ ელსტისთვის ეს მეოთხე მსოფლიოს ჩემპიონატია. ამიტომაც მის გამოცდილებაზე ბევრია დამოკიდებული და იგი ბელგიელთა გუნდის ახალგაზრდა წევრთათვის მისაბაძ ფეხბურთელად ითვლება. შეიძლება ითქვას, რომ ნაკრების თამაში სწორედ მასზეა აგებული. ეს მისმა ყოფილმა თანამებრძოლმა, წარსულში მსოფლიოს ერთ-ერთმა საუკეთესო მეკარემ და მახვილსიტყვაობით განთქმულმა ჟან-მარი პფაფმაც აღნიშნა: „ფრენკი ყოველთვის დიდ ფეხბურთს თამაშობდა, რაც თავდაუზოგავი შრომის შედეგი იყო. როდესაც იგი ბურთს იღებდა, მისი თამაშის ყურება ერთი სიამოვნება იყო. ვფიქრობ, ყველა ახალგაზრდამ, ვისაც წარმატების მიღწევა სურს, მაგალითი მისგან უნდა აიღოს“.

მართალია, ვან დერ ელსტი ნაკრებში თამაშს თავს ანებებს, მაგრამ, როგორც ცნობილი გახდა, იგი „ბრიუგეში“ კიდევ ერთი წლით დარჩება. „ვგრძნობ, რომ „ბრიუგეს“ ვჭირდები. ეს კლუბი ჩემი მეორე სახლია, აქ ხომ 14 წელი გავატარე“. პრესკონფერენციაზე ფეხბურთელებმა ჟურნალისტებს თავისი სანუკვარი ოცნებაც გააცნო. საქმე ისაა, რომ მას ბელგიის ნაკრებში 84 მატჩი აქვს ჩატარებული, ხოლო მის მწვრთნელს „ბრიუგეში“, წარსულში ასევე ცნობილ ფეხბურთელ ერიკ გერეტსს — 86. „ძალიან კარგი იქნება, თუ ჩემპიონატის მეორე წრეში, ანუ მერვედფინალში გავალთ, გუნდიც წინ წაიწევს და მეც 87 მატჩი დამიგროვდება. შემდეგ კი, როცა სამშობლოში დავბრუნდებით, მივალ ერიკთან და ვეტყვი — მე შენზე მაგარი ვარ!“

ასე რომ, ბელგიელთა კაპიტანი მაინც კარგ გუნებაზეა. რა თქმა უნდა, ძნელია, როცა დიდ ფეხბურთს ემშვიდობები, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს. ეტყობა, ვან დერ ელსტს კარგად ახსოვს ის დღე, როცა 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ესპანეთის ნაკრებთან 1:4 სამარცხვინოდ წაგების შემდეგ შინ მისულს საძინებელ ოთახში თვალცრემლიანი შვილი დახვდა.

დავით ძოვზირიძე

# დამნაშავე სუბისარეტა იქნება

ესპანელებმა მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე შესარჩევი ციკლის თუ ამხანაგური მატჩების მთელი სერია ჩაატარეს და ძლიერი გუნდის შთაბეჭდილება დატოვეს. ამიტომაც ისინი ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტად ითვლებოდნენ. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, არც ასეა საქმე. გახსნით მატჩში ესპანეთის ნაკრები ნიგერიელებთან ორჯერ იგებდა, მაგრამ საბოლოოდ 2:3 წააგო. იმ შეხვედრას მთელს მსოფლიოში, განსაკუთრებით კი ესპანეთში, დიდი რეზონანსი მოჰყვა, ძირითადად კრიტიკით შეზავებული, რაც სამართლიანიცაა, ვინაიდან ამხელა ამბიციების და მიზნების მქონე გუნდი შავი კონტინენტის ბინადართან ორჯერ იგებდეს, ბოლოს კი ყველაფერი წყალში გადაყაროს, მართლაც უცნაურია. გამოიკვეთა ერთი კაცის სახელიც, რომელიც იმ წაგების მთავარ დამნაშავედ იქცა — 36 წლის ანდონი სუბისარეტა, რომელსაც სხვა თუ არაფერი, უდიდესი გამოცდილება აქვს. ყველა ერთხმად აღნიშნავს (ძირითადად მისი თანამემამულენი), რომ მან თავისი დრო მოჭამა და ახლა გზა სხვა, უფრო ახალგაზრდა მეკარისთვის უნდა დაეთმო, იმასაც კი ამბობენ, თუ იგი კვლავ ჩადგება კარში, ესპანეთის ნაკრები ჯგუფიდან ვერ გავაო. ძნელია, სუბისარეტას ოპონენტებს არ დაეთანხმო. გავიხსენოთ თუნდაც ესპანელთა ამხანაგური შეხვედრა მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლებთან, სადაც ვეტერანმა გოლკიპერმა მეტად უხეში შეცდომები დაუშვა. შედეგად გოლიც გაუშვა და თავისი გუნდის 31-მატჩიან წაუგებელ სერიას წერტილი დაუსვა.

დაიწყო საფრანგეთი 98, ესპანელები კი კვლავ სუბისარეტამ დაღუპა. ასეთ შეცდომებს უკვე ბავშვებიც აღარ უშვებენ და რა გასაკვირია, რომ მის მიმართ კრიტიკის ახალი ტალღა დაიძრა. მას არა მარტო მეორე, არამედ მესამე გოლშიც სდებდნენ ბრალს, როდესაც ოლისეს შორიდან დარტყმულზე დროული რეაგირება ვერ მოასწრო. მეკარემ ამასთან დაკავშირებით განაცხადა: მეორე გოლი ნამდვილად ჩემი ბრალი იყო, ამას არ ვუარყოფ, მაგრამ ოლისეს დარტყმულის აღებას, მერწმუნეთ, ვერც ერთი გოლკიპერი ვერ შეძლებდაო.

მიუხედავად ირგვლივმყოფთა ასეთი უარყოფითი დამოკიდებულებისა, თავად ნაკრებში სხვაგვარი სიტუაციაა. ფეხბურთელები ყველანაირად ცდილობენ, რომ გამოცდილ მეკარეს არაფერი აგრძნობინონ და შემდგომი ბრძოლებისთვის სათანადოდ განაწყონ. ესპანელების მცველ მიგელ ანხელ ნადალის აზრით, სუბისარეტამ აუცილებლად უნდა ჩაატაროს თავისი 125-ე სანაკრებო თამაში პარაგვაელთა წინააღმდეგ, რაც მას საკუთარ ძალებში დარწმუნების საშუალებას მისცემს. ნადალი მასთან ერთად „ბარსელონაში“ თამაშობდა და აქედან გამომდინარე ამბობს: „ამხელა გამოცდილების მქონე მეკარის ერთი შეცდომის გამო უარყოფა არ არის მართებული. ფაქტია, რომ იგი იმედგაცრუებულია და ძლიერ განიცდის. სწორედ ამ დროს არის საჭირო მხარში ამოდგომა. ძალიან ცუდია, პირველივე შეხვედრა რომ წავაგეთ, მაგრამ ღრმად ვარ დარწმუნებული — ესპანეთის ნაკრები ერთადერთი გუნდია, რომელმაც წაგებით დაიწყო და მერვედფინალში გავა. ჩვენ ერთად ვიბრძოლებთ ბოლომდე, ყველაფერი წინ არის.“

მეგობრის გასამხნევებლად არც ახალგაზრდა რაულმა დაიშურა კეთილი სიტყვები: „რაც მოხდა, კატასტროფად ნუ მივიჩნევთ, წაგებას მოგება მოჰყვება და მინდა, ყველამ იცოდეს, რომ ესპანელები საფრანგეთში კიდევ დიდხანს დარჩებიან. ანდონი გუნდის ერთ-ერთი მთავარი ფიგურაა, ჩვენ ყველას გვჯერა მისი ოსტატობის.“

ფეხბურთელებს არც მთავარი მწვრთნელი ხავიერ კლემენტე ჩამორჩა, რომელმაც განაცხადა, რომ მორიგ თამაშში პარაგვაელებთან კარში აუცილებლად სუბისარეტა იდგება.

გუნდის ასეთი მხარდაჭერა და ურთიერთგატანა ძალიან ბევრ ნაკრებს შეშურდებოდა. მაგრამ მარტო მეგობრობა საქმეს ვერ უშველის, ესპანელებმა დარჩენილ მატჩებში თავი უნდა გაწირონ, რათა არ შერცხვნენ და ფავორიტებად შერაცხულნი შინ ნაადრევად არ გაემგზავრონ. თუ ასე მოხდა კი ამაში დამნაშავე ნამდვილად ანდონი სუბისარეტა იქნება.

დავით ძოვზირიძე



გიო ახვლედიანის

სამი სვეტი

# მასპინძელო, მხიარულო?

მასპინძლობა ყოველთვის განსაკუთრებულ რამედ ითვლებოდა ფეხბურთში. სტუმრად მოგება ყოველთვის გამორჩევით ფასობდა, მაგრამ სხვა საქმეა მსოფლიოს ჩემპიონატი, სადაც ყველა სტუმარია ერთის გარდა. ის ერთი კი მასპინძელია და თავიდანვე ისე აეწყო, რომ მასპინძლის გამო ყოველთვის სხვაგვარად ლაპარაკობენ.

ეს არც არის გასაკვირი. მსოფლიოს ჩემპიონატების ადრეული ხანა მასპინძელთა ზეობით აღინიშნა. 1930 წელს ურუგვაიმაც შინ მოიგო ნიკეს თასი. 1934 წელს კი იტალიამ იგივე გაიმეორა თავისი „დუჩეს“ გულის გასახარად. ამის შემდეგ იყო უზარმაზარი პაუზა, ვიდრე 1966 წელს ინგლისელებმა შინ არ მოიგეს ჩემპიონობა. კიდევ რვა წლის შემდეგ გერმანიამ შინ მოიგო ტიტული, კიდევ ოთხი წლის შემდეგ არგენტინამ იმარჯვა და ჯერჯერობით ბოლო ნაკრები გამოდგა, თავისი მასპინძლობა რომ მსოფლიოს ჩემპიონობად გარდასახა.

იმთავითვე ისე დაიწყო, რომ მასპინძელთა გაჩემპიონებას თან ახლდა ლაპარაკი იმის თაობაზე, რომ მსაჯები და ორგანიზატორები მათ სასარგებლოდ წყვეტდნენ სადავო საქმეებს და გვარიანადაც ეხმარებოდნენ. მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში დღემდე დარჩენილია ამბები 1934 წლის ჩემპიონატზე ბენიტო მუსოლინის გავლენისა. დღემდე ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ 1966 წელს არგენტინის ნაკრები წინასწარგანზრახულად დაჩაგრეს ინგლისელებთან მატჩში და რომ იმავე ჩემპიონატის ფინალში ჯეფრი ჰერსტის გოლი მხოლოდ იმიტომ ჩათვალეს გოლად, რომ მასპინძელმა გაიტანაო. ამ ამბებიდან თორმეტი წლის შემდეგ არგენტინის ნაკრებს პერუელებთან ოთხი ბურთით გამარჯვება სჭირდებოდა. არგენტინამ 6:0 მოიგო და მერე ატყდა ამბავი: პერუელთა მეკარე რამონ კიროგა ტომით არგენტინელიაო, არგენტინელთა მცველი ალბერტო ტარანტინის ანალიზში ფეხმძიმე ქალებისთვის ჩვეული ელემენტები იპოვნესო, არგენტინის ხუნტამ პერუს მთავრობას ხორბლის მიწოდება შეუწყვიტაო. და ასე გაუთავებლად.

ჩემპიონობა იქით იყოს და, 1982 წელს, როცა მსოფლიოს ჩემპიონატს ესპანეთი მასპინძლობდა, მსაჯთა ყურება ნამდვილად სამარცხვინო იყო. ესპანეთის ნაკრებს მაშინ მწვრთნელად ჰყავდა ხოსე სანტამარია, წარმოშობით ურუგვაელი საფეხბურთო მოღვაწე, დიდი „რეალ მადრიდის“ სახელოვანი მოთამაშე. მაგრამ სანტამარია ფრიად საშუალო მწვრთნელი გახლდათ და მისი ნაკრების ყველაზე კარგი თამაში უკანასკნელი გამოდგა ესპანელთათვის იმ მსოფლიოს ჩემპიონატზე. მეორე ეტაპის სამგუნდა ჯგუფის ბოლოს მატჩზე რომ გადიოდა ინგლისელთა წინააღმდეგ, ესპანეთის ნაკრებს ნახევარფინალში გასვლის შანსი დაკარგული ჰქონდა. ესპანელებმა მოახერხეს და 0:0 დაამთავრეს ის შეხვედრა.

მასპინძელთა საჩემპიონო განწყობა იგრძნობოდა 1990 წელს იტალიაშიც, სადაც აძელიო ვიჩინის გზა მარადონამ და მისმა ამხანაგებმა გადაუღობეს.

ბოლო ოც წელიწადში ეს იყო და ეს.

ბოლოჯერ საშინაო ჩემპიონად არგენტინის ნაკრები გახდა.

რა თქმა უნდა, შინ გაჩემპიონების ოცნებაც კი არ ჰქონიათ შვეიცარიელებს, მექსიკელებს, ჩილელებს და ამერიკელებს. თუმცა, მასპინძლობით ანთებულმა ჩილელებმა ბრინჯაოც კი მოიგეს 1962 წელს, შვედები კი საერთოდაც ფინალში გავიდნენ 1958 წელს.

აი, ბრაზილიას კი საჩემპიონო ტრაგედია სწორედაც რომ შინ, ახალგახსნილ „მარაკანაზე“ შეემთხვა 1950 წელს. ადემირს, ზიზინიოს, ჟაირს, ფრიაკას და ჩიკოს ფრე ჰყოფნიდათ, რომ მსოფლიოს ჩემპიონები გამხდარიყვნენ, მაგრამ ვერაფერი გააწყვეს ურუგვაელთა წინააღმდეგ. მაგრამ იმის შემდეგ ბრაზილია ოთხჯერ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი და ოთხჯერვე სხვაგან, აქედან ერთხელ ევროპაში.

და მაინც, კარგია თუ ცუდი, როცა ჩემპიონობის ამბიცია გაქვს და თან ამ ჩემპიონატს მასპინძლობ?

ალბათ, კარგიცაა და ცუდიც. თუმცა, უფრო ხშირად მასპინძელ ჩემპიონებს დააყვედრებენ ხოლმე, თქვენ ძალიან გეხმარებოდნენ, რომ ჩემპიონები გამხდარიყავითო, მაგრამ დაუდევრობა დაუდევრობად და, ჩემპიონი კი ჩემპიონადვე რჩება. კი, გეტყვიან, შენ თამაშებს ყოველთვის ერთ ქალაქში მართავდი, ყოველთვის ყველაზე გვიან და სავარაუდო მოწინააღმდეგეებიც გარკვეულ ეტაპამდე ყველაზე იოლი გყავდაო, მაგრამ შენ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი მოგებული გაქვს და დიდად არ ნაღვლობ ასეთ რამეებზე.






*საფრანგეთის ნაკრების გულშემატკივრები ევრო 96-ზე:* „თუ ჟინოლა არა, თუ კანტონა არა, არა ჩვენი მხარდაჭერა“ — გვამცნობს მათი ტრანსპარანტი

საფრანგეთის ნაკრები არასოდეს ყოფილა მსოფლიოს ჩემპიონი.

საფრანგეთის ნაკრებს ორჯერ დაუჭერია მესამე ადგილი მსოფლიოს ჩემპიონატებზე და ერთხელაც მეოთხე.

საფრანგეთი მეორედ მასპინძლობს მსოფლიოს ჩემპიონატს (პირველად ეს 60 წლის წინათ იყო).

და საფრანგეთი პირველი გუნდია მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში, შინ რომ ვერ გახდა ჩემპიონი. 1938 წლამდე მსოფლიოს ორი საშინაო ჩემპიონი ჰყავდა.

ოთხი წელიწადია, საფრანგეთის ნაკრები ამ ივნისისთვის ემზადება. აბა, რა სადავოა — ემე ჟაკეს და მის გუნდს გულს მსოფლიოს ჩემპიონობა აქვთ ამოჭრილი. ოცდამეერთე საუკუნეს მსოფლიო ახალი ჩემპიონით უნდა შეხვდესო.

ჟაკეს ჰყავს წლების მანძილზე შეთამაშებული და აწყობილი გუნდი, რომელიც სწორედ რომ ერთადერთი მიზნისთვის იქმნებოდა — 1998 წელს შინ გამხდარიყო მსოფლიოს ჩემპიონი, რადგან, რა თქმა უნდა, ძალიან ძნელი წარმოსადგენია, რომ ფრანგებმა მოახერხონ და რომელიმე სხვა ქვეყანაში გახდნენ ჩემპიონები. ასეთი რამ ვერ მოუხერხებიათ ისეთ ფრანგებს, რომლებსაც დიახაც, ხელეწიფებოდათ მსოფლიოს ჩემპიონობა და ჟაკეს ფეხბურთელები იმათ უფრო სხვა რამით უნდა შეედარონ, ვიდრე ვარსკვლავობით.

მასპინძლობის ფაქტორზე რომ ვლაპარაკობ, სწორედ ამას ვგულისხმობ: არიან გუნდები, რომლებსაც ხელეწიფებათ, რომ შინ გახდნენ ჩემპიონები. სწორედ ასეთი გუნდია საფრანგეთის ნაკრები. მას მართლაც რომ ხელეწიფება თასისთვის ბრძოლა.

ჯგუფურ ტურნირში ამ გუნდს არანაირი გართულება არ ელოდება, მაგრამ ნახევარფინალისკენ მიმავალი გზა რომ არც მთლად იოლი აქვს, ესეც ცხადია.

რა თქმა უნდა, მთელი საფრანგეთი მათ გამარჯვებას ელის, მაგრამ ბოლო ოთხ წელიწადში საფრანგეთის ნაკრებს არაფრით დაუმტკიცებია, რომ რაიმეთი ჯობია ევროპისა და მსოფლიოს გუნდებს. თანაც, მათი თამაშის შემხედვარე, კაცს სინანული გაგიკვესავდა გულს, რადგან ემე ჟაკე ნაბიჯ-ნაბიჯ, მონდომებით აშთობდა სანაკრებო თამაშში იმას, რითაც ნებისმიერი მოყვარულისთვის ძვირფასია ფრანგული ფეხბურთი. თითქოს ის არაბუნებრივ მდგომარეობას ქმნიდა და ბოლოს და ბოლოს შექმნა კიდეც.

აქ ერთი რამეცაა საყურადღებო — ჟაკემ ძალიან დიდი პასუხისმგებლობა იდო თავს. რახან ფრანგებმა მსოფლიოს ჩემპიონატის მოგება განიზრახეს და მწვრთნელადაც ჟაკე გაამწესეს, ამ ჟაკემ საქმეს ისე შეხედა, რომ რისკიანი თამაშის შესაძლებლობა საერთოდაც გამორიცხა. რისკში ფრანგებისთვის ჩვეულ ემოციურობას, იმპროვიზაციის უნარსა და თავდავიწყებას ვგულისხმობ.

მან ჯარისკაცები არჩია და თუმცა გამთამაშებლად სულაც არა ჰყავს ერთი რიგითი ჯარისკაცი, მაინც მეომარი, ხისტი, ჭაჭგურის შემძლე გუნდი ჩამოქნა.

ფრანგთა ოთხწლიანი თავგადასავლის შემხედვარეს ერთგვარად გამიკვირდა კიდეც ის წრეგადასული ემოციურობა და თითქოს გაშიშვლებული ნერვებით თამაში, „სტად ველოდრომზე“ რომ შედგა სამხრეთაფრიკელთა წინააღმდეგ. მაგრამ ის ხომ გახსნის თამაში იყო და მიუხედავად იმისა, რომ აფრიკა გრანდი არ არის, ფრანგებმა ნერვიულობით მოიგეს. რა ვუყოთ, რომ მავანი ისა მათზე მეტს ნერვიულობდა?

ასე რომ, ჯერ კიდევ ძნელი სათქმელია, კარგია თუ არა, როცა მასპინძელი ხარ.

მით უმეტეს, როცა მასპინძელი ხარ და თანაც ფრანგი.

რაღაც მსგავსი სჭირდა იტალიის ნაკრებს 1990 წელს. არა, ვერც იმ გუნდზე იტყოდი, გინდა თუ არა, მსოფლიოს ჩემპიონი უნდა გახდესო, მაგრამ საკუთარი ტრიბუნების გუგუნი რომ მხოლოდ მხარს არ უჭერდა იტალიელებს, ესეც ნაღდი იყო. ის გუგუნი მათ უღელს ადგამდა კისერზე და მგონი ფრანგებიც არანაკლებ უღელს გრძნობენ. ფეხბურთი ხომ კარგა ხანია გასცდა უბრალო სპორტული შეჯიბრის ფარგლებს.

ასე რომ, მასპინძლობა ეგებ სამხიარულოც კი იყოს ამერიკელთა და მექსიკელთათვის, ბევრისთვის კი იგი უღელია. ამიტომ, დარწმუნებული ვარ — ჟაკეს გუნდი ბეწვის ხიდზე გადის და ეს ბეწვის ხიდი ბევრად უფრო ვიწროა, ვიდრე მისი მომავალი მოწინააღმდეგეებისა.

ფეხბურთში ბევრი რამ შეიცვალა. არა მხოლოდ თამაშში, არამედ ფეხბურთის სამყაროშიც.

ამიტომ, მასპინძლობას ეგებ სტუმრობაც კი სჯობდეს ხოლმე.

ჟაკე ხომ ჯოყოლასავით ვერ მოიქცევა?

ამ კაცს ძალიან გადაღლილი იერი აქვს.


# სარბიელი

## სპორტული ლატარია “CROCO”

მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში თბილისში, კინოთეატრ რუსთაველის მეოთხე სართულზე, კროკოს კლუბში შეგეძლებათ თამაშების პირდაპირი რეპორტაჟების ნახვა და ფსონების დადება.

კროკო ფეხბურთის ყველაზე აზარტულ მოყვარულებს თბილისში, ქუთაისში, ბათუმში და რუსთავში მოემსახურება.

ფსონების მიმღები „კროკოს“ ახალი ბიუროები გაიხსნა თბილისის №2, №63 და №67 ფოსტის განყოფილებების შენობებში

№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე

№63 ვარკეთილი. I მიკრორაიონი, XV კორპუსი

№67 გლდანი. I სავაჭრო ცენტრი

### მსოფლიოს ჩემპიონატი

| | | | |
|---|---|---|---|
| 18 ივნისი | | | |
| ს. აფრიკა — დანია | 5,3 | 3,1 | 1,6 |
| საფრანგეთი — საუდეთი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,2 | 4,0 |
| 19 ივნისი | | | |
| ნიგერია — ბულგარეთი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ესპანეთი — პარაგვაი | 1,3 | 3,4 | 7,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 20 ივნისი | | | |
| ბელგია — მექსიკა | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| ჰოლანდია — კორეა | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,2 | 4,0 |
| იაპონია — ხორვატია | 9,0 | 5,0 | 1,2 |
| 0:1 | 3,5 | 3,2 | 1,6 |
| 21 ივნისი | | | |
| არგენტინა — იამაიკა | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,2 | 4,0 |
| გერმანია — იუგოსლავია | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| აშშ — ირანი | 2,2 | 3,0 | 2,9 |
| 22 ივნისი | | | |
| კოლუმბია — ტუნისი | 1,5 | 3,2 | 5,0 |
| რუმინეთი — ინგლისი | 5,0 | 2,9 | 1,7 |

პირველი ტაიმი/სამოლოო შედეგის გამოცნობაზე და სხვა კოეფიციენტებს ფსონების მიღების ადგილზე გაეცნობით

ფსონები მიიღება ყოველდღე 13-დან 16 საათამდე.

**თბილისში** — კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან;

**ქუთაისში** — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში;

**ბათუმში** — გორგასლის (ყოფილი ცხაკაიას) ქუჩა 4, ყოფილ კომისარიატთან;

**რუსთავში** — კინოთეატრი „რუსთაველი“; XVI მიკრორაიონი 2; კოსტავას გამზირი 17.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

## ფეხბურთის რუკასთან



**ირანის** ნაკრების ნახევარმცველმა ალი რეზა მანსურიანმა ბუნდესლიგურ „ჰამბურგთან" ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. იგი გერმანიის ჩემპიონატში ამ ქვეყნის ნაკრების მეოთხე წარმომადგენელი იქნება. ცოტა ხნით ადრე ბილეფილდის „არმინიიდან" ვიცე-ჩემპიონ მიუნხენის „ბაიერნში" ირანელთა ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი ალი დაეი გადავიდა, ხოლო ქარიმ ბაგერის და ხოდადად აზიზის კლუბები, შესაბამისად „არმინია" და „კიოლნი", მეორე ბუნდესლიგაში გავარდნენ. „მთავარი მიზეზი, რის გამოც გერმანიაში ვარჩიე თამაში, აქაური ფეხბურთის სტილი იყო. ბუნდესლიგაში თამაშზე ყოველთვის ვოცნებობდი" — განაცხადა 24 წლის მანსურიანმა, რომელსაც დორტმუნდის „ბორუსიაც" ეპატიჟებოდა.

**ბელგიის** ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ჟორჟ ლიკენსმა პრესის წარმომადგენლებთან საუბრისას აღნიშნა, რომ საფრანგეთი 98-ის შემდეგ შეიძლება თანამდებობა დატოვოს და ჰოლანდიურ აინჰემის „ვიტესს" ჩაუდგეს სათავეში. „გაზეთებში გაჟონა ინფორმაციამ, თითქოს მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ „წითელი ეშმაკების" მწვრთნელობას თავს ვანებებდე. იქნებ ასეც მოხდეს, მაგრამ ბელგიის ნაკრებში ევროპის 2 000 წლის ჩემპიონატის დასრულებამდე ვიქნები". თავის მხრივ ჰოლანდიური მხარე ამტკიცებს, რომ უკვე მოილაპარაკა ლიკენსთან, რომელსაც ორი ბელგიური კლუბი — „სტანდარტი" და „ანდერლეხტიც" ეპატიჟებოდა. მწვრ-თნელს ნაკრებთან 2000 წლამდე აკავშირებს კონტრაქტი.

**ესპანეთის** დედაქალაქში მდებარე „სანტიაგო ბერნაბეუს" სტადიონზე, რომელზეც ჩემპიონთა ლიგის წლევანდელი გამარჯვებული მადრიდის „რეალი" ასპარეზობს, რეკონსტრუქციები დაიწყო — დასაჯდომი ადგილები 30 000-დან 75 000-მდე გაიზრდება. სამუშაოები წინა კვირაში დაიწყო და სავარაუდოდ სექტემბრის ბოლომდე გასტანს.

**ლატვიის** ჩემპიონატში ორი შეხვედრა გაიმართა: ვალმიერა — სკონტო 1:5, ვენტსპილსი — დინაბურგი 0:0. სატურნირო მდგომარეობა მე-10 ტურის შემდეგ: დინაბურგი — 27 ქულა, სკონტო — 19, მეტალურგსი — 17 (9 თამაშიდან).

# ვან გაალის ბიჭები ესპანურს სწავლობენ

„ბარსელონაში" დიდი, მაგრამ ერთფეროვანი ცვლილებები მიმდინარეობს — გუნდი ნელ-ნელა ჰოლანდიელი ფეხბურთელებით ივსება. ამის მთავარი მიზეზი ალბათ ის არის, რომ გასულ სეზონში კლუბს ცნობილი ჰოლანდიელი სპეციალისტი, ამსტერდამის „აიაქსის" მთავარი მწვრთნელი ლუის ვან გაალი ჩაუდგა სათავეში. მისი მოსვლის შემდეგ „ბარსელონა" თანდათან შემტევი ფეხბურთიდან დაცვითზე გადავიდა, რასაც გუნდის ჰოლანდიელი მოთამაშეებით შევსებაც დაემატა და ქომაგთა თუ პრესის წარმომადგენელთა მხრიდან კრიტიკამ საგრძნობლად იმატა. მიუხედავად ამისა, ვან გაალი ჩვეული სიმშვიდით აკეთებდა თავის საქმეს და ჩემპიონთა ლიგაში საშინელი ჩავარდნის მიუხედავად ფანები მაინც კმაყოფილი დატოვა — ჯერ თავის დაუძინებელ მტერ მადრიდის „რეალს" ორჯერ, შინ და გარეთ, მოუგო (რაც კატალონელთათვის ყველაზე მთავარია), ხოლო შემდეგ ესპანეთის ჩემპიონიც გახდა და ქვეყნის თასიც დაისაკუთრა.

თითქოს ყველა ნასიამოვნები უნდა ყოფილიყო, მაგრამ კატალონიელი ხალხის სიჯიუტე ხომ საყოველთაოდ არის ცნობილი — მათ მოითხოვეს, რომ ლეგიონერებმა, ვინც დღესდღეობით გუნდში გამოდის, შეისწავლონ ესპანური ენა. განსაკუთრებით ეს ჰოლანდიელი ფეხბურთელების მისამართით ითქვა, რომელთა რიცხვი მომავალ სეზონში ხუთამდე გაიზრდება, ხოლო ვან გაალის თანაშემწე, მისი თანამემამულე, წარსულში „ბარსელონას" მცველი რონალდ კუმანი იქნება. „კლუბში ბევრმა ჰოლანდიელმა მოიყარა თავი და მინდა, რომ მათ იცოდნენ — აქ რომ თამაშობ, სულ უნდა გახსოვდეს, ეს კატალონიაა" — განაცხადა ესპანეთის ჩემპიონატში კარგა ხნის მანძილზე მოასპარეზე კუმანმა.

რაც შეეხება თავად ვან გაალის და ლეგიონერთა ესპანური ენის ცოდნის დონეს, მთავარი მწვრთნელი შარშანდელ პრესკონფერენციებზე ყოველთვის ინგლისურად საუბრობდა, რაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ადგილობრივ გულშემატკივრებს და მასმედიას გულზე არ ეხატებოდა, მაგრამ, მათდა გასაოცრად, ქვეყნის თასის ფინალის შემდეგ ვან გაალი ესპანურად ამეტყველდა და გაირკვა, რომ იგი ენის კურსებს გადის. ორი ახალწვეული, „ეინდჰოვენიდან" გადმოსული ფილიპ კოკუ და ბუდევინ ზენდენი თურმე გაფაციცებით სწავლობენ ახალ ენას. მეკარე რუუდ ჰესპიც უკვე ორი თვეა, ესპანურზე დადის და საკმაოდ ნიჭიერიც აღმოჩნდა. ასევე დიდი ტალანტით ყოფილა დაჯილდოებული მიხაელ რაიციგერი, რომელმაც „მილანში" გატარებულ ერთ წელიწადში იტალიური ისწავლა, ხოლო ახლა ესპანურადაც თავისუფლად საუბრობს. აი, ვინსტონ ბოგარდი კი განსაკუთრებული შემთხვევაა — იგი შარშან, დეკემბერში გადაბარგდა „ბარსელონაში", დღემდე ერთი აქაური სიტყვაც არ უსწავლია და, როგორც თავად ამბობს, არც ისწავლის.

მოკლედ, ჰოლანდიელთა ლეგიონი ესპანურის გაძლიერებულ მეცადინეობაზეა გადასული. ვან გაალი ჭკვიანი კაცია, ჯიუტობა არ დაუწყია და ცდილობს, გაიწაფოს ახალ ენაში. მას ალბათ მშვენივრად ახსოვს, რომ მისი თანამემამულე იოჰან კრუიფი, გარდა ნაყოფიერი მუშაობისა იმითაც არის ამ ქვეყანაში გამორჩეული და დაფასებული, რომ თავისუფლად ლაპარაკობს კატალონიურად.

**დავით ძოწენიძე**

## რუსეთი

მე-12 დინამო (მოსკოვი) — ჟემჩუჟინა 4:1; ტორპედო — სპარტაკი 1:1; ზენიტი — ურალანი 2:1; როტორი — ტიუმენი 5:1; ლოკომოტივი — ალანია 0:0; შინიკი — ბალტიკა 3:1; ჩერნომორეცი — კრილია სოვეტოვი 4:1, როსტსელმაში — ცსკა 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზენიტი | 12 | 6 | 5 | 1 | 17:8 | 23 |
| როტორი | 12 | 5 | 6 | 1 | 24:14 | 21 |
| როსტსელმაში | 12 | 5 | 5 | 2 | 20:13 | 20 |
| ალანია | 12 | 5 | 5 | 2 | 13:9 | 20 |
| ჟემჩუჟინა | 12 | 5 | 3 | 4 | 14:14 | 18 |
| ბალტიკა | 12 | 4 | 6 | 2 | 12:11 | 18 |
| ლოკომოტივი | 12 | 4 | 5 | 3 | 12:10 | 17 |
| სპარტაკი | 10 | 4 | 4 | 2 | 14:10 | 16 |
| კრილია | 12 | 4 | 2 | 6 | 11:17 | 14 |
| ჩერნომორეცი | 13 | 2 | 8 | 3 | 15:14 | 14 |
| ცსკა | 12 | 3 | 4 | 5 | 15:14 | 13 |
| ურალანი | 12 | 3 | 4 | 5 | 11:14 | 13 |
| შინიკი | 12 | 3 | 4 | 5 | 10:16 | 13 |
| ტორპედო | 12 | 2 | 6 | 4 | 9:11 | 12 |
| დინამო | 12 | 1 | 8 | 3 | 9:10 | 11 |
| ტიუმენი | 11 | 1 | 1 | 9 | 6:27 | 4 |

## უკრაინა

ბოლო 30-ე ტური. დინამო — ტორპედო 3:0, შახტიორი — მეტალურგი (მარიუპოლი) 2:2, კარპატი — დნეპრი 0:0, კრივბასი — ვორსკლა 3:2, ჩერნომორეცი — მეტალურგი (დონეცკი) 2:1, ტავრია — ნივა 2:0, მეტალურგი (ზაპოროჟიე) — ზირკა 4:2, ცსკა — პრიკარპატიე 0:1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 29 | 23 | 3 | 3 | 70:14 | 72 |
| შახტიორი | 30 | 20 | 7 | 3 | 61:25 | 67 |
| კარპატი | 30 | 16 | 9 | 5 | 36:20 | 57 |
| დნეპრი | 30 | 17 | 4 | 9 | 47:27 | 55 |
| ვორსკლა | 30 | 15 | 4 | 11 | 41:46 | 49 |
| ნივა | 30 | 12 | 4 | 14 | 37:39 | 40 |
| კრივბასი | 30 | 10 | 9 | 11 | 34:33 | 39 |
| მეტალურგი (დ) | 29 | 10 | 7 | 12 | 27:27 | 37 |
| მეტალურგი (ზ) | 30 | 10 | 7 | 13 | 40:44 | 37 |
| ცსკა | 30 | 9 | 6 | 15 | 30:35 | 33 |
| ტავრია | 30 | 8 | 9 | 13 | 35:41 | 33 |
| პრიკარპატიე | 30 | 8 | 9 | 13 | 33:41 | 33 |
| ზირკა | 30 | 9 | 6 | 15 | 27:48 | 33 |
| მეტალურგი (მ) | 30 | 8 | 9 | 13 | 27:48 | 33 |
| ჩერნომორეცი | 30 | 8 | 8 | 14 | 31:39 | 32 |
| ტორპედო | 30 | 2 | 7 | 21 | 20:69 | 13 |

*კიევის „დინამო" — დონეცკის „მეტალურგი" დღეს გაიმართება. ლიგა დატოვეს „ჩერნომორეცმა" და „ტორპედომ".*

ფედერაცია საქართველოს მეათე ჩემპიონატის კალენდრის სისტემას დღეს კლუბები თავადვე აირჩევენ

# ფედერაცია გადემოკრატიულდა

ფეხბურთის ფედერაციის ყრილობა ღირსშესანიშნავი მოვლენა კია, მაგრამ ჩვენი კლუბების წარმომადგენლები ამ არდადეგების დროს მაინც მიაკითხავენ იამანიძის №5-ს.

დღეს ფედერაციაში დიდი თავყრილობაა მოსალოდნელი. სჯა-ბაასი კი მეათე ეროვნული ჩემპიონატის გათამაშების კალენდარს შეეხება.

საშეჯიბრო განყოფილებამ კალენდრის შესადგენად ორი პროექტი წარადგინა. ერთი გუნდების დაწყვილებას დაკავებული ადგილის მიხედვით ითვალისწინებს, რაც ჩემპიონატისთვის მაინცდამაინც სასარგებლო ვერ იქნება. მიზეზიც უბრალოა.

გათამაშების პოტენციური ლიდერები ერთმანეთს საწყის ტურებში შეეჭიდებიან, მერე მათ აუტსაიდერებთან უწევთ ბურთაობა და ისედაც დაცარიელებულ ტრიბუნებს კიდევ მაყურებელთა მოკლება უნდა?!

რომელი ჭკუათმყოფელი გულშემატკივარი წავა იმ თამაშის საცქერად, სადაც მატჩის საბოლოო შედეგი დიდი ხნით ადრეა ცნობილი.

ამიტომ ფედერაციას კლუბთა თავკაცებისთვის მეორე ვარიანტიც შეურჩევია. კერძოდ, წილისყრის მეთოდი, რომელიც უფრო სოლიდური ჩანს. გუნდები ჯერ დაინომრებიან და მერე მათი დაწყვილება დროის და გამჭირიახობის საქმეა.

ისე, ამაზე უკეთესი სისტემაც არსებობს, რომელსაც აქამდე ჩვენი მორაგბენიც იყენებდნენ. მორაგბეთა ფორმულაც წინა ჩემპიონატის შედეგებს ეყრდნობა, ოღონდ დაწყვილების პრინციპი სხვაა.

ჩვენ ორი ვარიანტი წარვადგინეთ, აწი კლუბთა წარმომადგენლებმა თავად აირჩიონ, რომელი ვერსია უფრო აწყობთო. საბოლოო ვარიანტი ხმათა უმრავლესობით შეირჩევა.

მოახლოებული ყრილობის წინ ფეხბურთის ფედერაცია ერთობ დემოკრატიული გახდა.

ჩვენი ფეხბურთის მესვეურნი ისე ლამის ნაბიჯს აღარ დგამენ, თავისი ქვეშევრდომი უმრავლესობის აზრი არ გაიზიარონ. იქნებ ესეც იყოს პროგრესის და ყოველდღიური რეალობის სწორად აღქმის დასაწყისი.

მუშაობის ძველი, კარჩაკეტილი მეთოდები რომ მოძველდა, პრაქტიკამ არაერთხელ დაამტკიცა.

სავარაუდოდ, ფედერაცია ჩემპიონატის განახლებას აგვისტოს პირველი რიცხვებიდან აპირებს. ჯერ სუპერთასის თამაში იქნება, უფრო ტრადიციული რომ ეთქმის, „დინამო" — „ბათუმის" სათასო შეხვედრა არაერთხელ გვიხილავს. დაახლოებით 8 აგვისტოდან ჩემპიონატიც დაიწყებაო.

**მამუკა ძვანტალიანი**

სამგურალი ბაბუნიძეს დაშორდნენ და დარსაძეს ექაჩებიან

# იმერული განდაგანა

ოთხი წელია, წყალტუბოური კლუბის პრეზიდენტი ქუთაისელი კაცი, გრიგოლ ქათამაძეა. ამდენ ხანს „სამგურალის" სათავეში ვერავის გაუძლია და ახლანდელი პირველკაცი ამ მხრივ კლუბის რეკორდსმენიცაა.

გრიგოლ ქათამაძე კი ერთგულობს გუნდს, მაგრამ მისი მიზეზითაა თუ რა, სეზონნახევარზე მეტი ვერც ერთი მწვრთნელი გაიჩერა.

„სამგურალს" ჯერ ვერმშველელი, მაგრამ პირველ ჯგუფში დამაბრუნებელი სოსო ფრუიძე წაჰგვარა „ტორპედომ", მერე ცუდი სტარტით თავადვე უკმაყოფილო თემურ კოხრეიძემ დატოვა გუნდი, ამას გივი ბაბუნიძის მწვრთნელობა მოჰყვა და...

ამასწინათაც გაუწყეთ, ხმა დაირხა, „სამგურალიდან" ბაბუნიძეც მიდისო. ეს ცნობა კლუბის ხელმძღვანელმა ვერც უარყო და არც დაადასტურა. ეს კი თქვა, ჩემპიონატის დასრულების შემდეგ კრება რომ გვქონდა, მთავარი მწვრთნელი არ მოვიდა, ახლა ხელახლა რომ შევიკრიბებით, თუ მაშინაც არ დაბრუნდა, გუნდს მის თანაშემწედ ნამუშევარ როლანდ ცუცქირიძეს ჩავაბარებთო.

25-მდე ერთი კვირაცაა, ქათამაძე კი, ჩანს, ამ თარიღს აღარ ელოდება. ამ დღეებში „სამგურალის" მიწვევით წყალტუბოს ერთადერთი ლიცენზირებული ქართველი მწვრთნელი გაიოზ დარსაძე ეწვია.



დარსაძე წყალტუბოსკენ იხედება

ამ გაზაფხულზე „რუსთავში" ნამუშევარ დარსაძეს წყალტუბოელთათვის საკუთარი პირობები წაუყენებია და თუ ამათთვისაც ხელსაყრელი იქნება, თანამშრომლობას წინ არაფერი დაუდგებაო.

ბოლოხანს „სამგურალს" ორი გან-ი მართავდა, პრეზიდენტი გრიგოლ ქათამაძე და მწვრთნელი გივი ბაბუნიძე. ამ ორმა გან-მა ერთმანეთი ვერ იგუა და ჩანს, საბოლოოდაც დაშორდნენ. თუმცა, ეტყობა, ერთ-ერთს, პრეზიდენტს, დაობლება მაინც არ ემუქრება — თუ გაიოზ დარსაძე მწვრთნელობაზე დაიყაბულა გუნდს ისევ წყვილი გან-ი უთავკაცებს.

**იუზა ქაციტაძე**

ერევანი „ერებუნიც" სამზადისშია

# უთამაშებლად მოდიან

ქუთაისის „ტორპედოს" მეტოქეს ინტერტოტოს გათამაშების პირველ ეტაპზე, ერევნის „ერებუნის" გუშინ სომხეთის ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩი უნდა ეთამაშა თანაქალაქელ „არარატთან".

„ერებუნის" კი სომხური ფეხბურთის ფედერაციისთვის თხოვნით მიუმართავს, 21-ში „ტორპედოსთან" ქუთაისში სტუმრობა გველის და ეგებ „არარატთან" მოგვიანებით შეგვახვედროთო.

ფედერაციაც დაყაბულდა და „ერებუნის" მატჩი გადაუდო.

გიუმრის „შირაქთან" შინ 0:3 წაგების მერე „ტორპედოს" მეტოქეს აღარც უთამაშია.

U21 ორ-ორი მოგება-წაგება იტალიაში

# ბარი-ბარში

გუშინ საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა იტალიური ტურნეს ბოლო მატჩი ჩაატარა სერია B-ს თანატოლთა რჩეულებთან და დამარცხდა — 0:1.

ერთადერთი გოლი პირველ ტაიმში გავიდა, ბურთი ჩვენებურ მცველს მოხვდა და ასხლეტილი შევარდა.

ქართველებმა ასე ითამაშეს: სოლოლაშვილი, წერეთელი, ჩხეტიანი, ჭანკოტაძე, დავითნიძე, მუჯირი, კვარაცხელია, ალექსიძე, ჯაკობია, შენგელია, რევაზიშვილი.

მენთეშაშვილი, აშვეთია და გემეზაშვილი ისევ ტრავმებმა დაალალატა.

**კობა ინასარიძე**

ქუთაისი „გივი კილაძის" სტადიონს უეფას საგანგებო კომისარი „ერებუნისთან" მატჩის წინა დღეს მიიღებს

# ნათლობაღა დარჩა

საქართველოს კლუბები ხუთი წელია, ევროთასებზე ასპარეზობენ და ახლა მეექვსე ევროპული სეზონის სამზადისში არიან.

საკუთარ ქალაქში უცხოური კლუბის ძლევის ხილვა რომ დიდად გასახარია, ამას რა ფიცი-მტკიცი სჭირდება.

ამ ხუთი წლის წინ პირველი სიხარულიცა და ტკივილიც „დინამოს" მიერ ვითომდა მოსყიდულ მსაჯთა დახმარებით „ლინფილდის" დამარცხებამ გვარგუნა. მომდევნო წელს კი ხანგრძლივ დისკვალიფიკაციას გადარჩენილმა ჩვენმა ჩემპიონმა ევროპაში ასე ეულად ბოლოჯერ გაიბრძოლა.

მერე ნელ-ნელა „ბათუმი", „სამტრედია", „მარგვეთი", „კოლხეთი" და „მერანიც" ჩაებნენ ბრძოლაში და ვინ მცირედ გვასახელა, ვინ თავიც მოგვჭრა, ვინ კი უილბლობით დაიჩაგრა, ახლა ამას არ მოვყვებით.

ევროპული ფეხბურთისთვის განუყოფელ ნაწილად, ნორმალქცეულ ევროთასებს, ცხადია, 13 მაისის შემდეგ ჩვენთვის სიამაყის უფლება აღარ მოუცია. სადავო არც ისაა, თასების მფლობელთა თასს რომელიმე ქართული კლუბის კაპიტანი ხელს კიდევ დიდხანს რომ ვერ შეახებს.

მაგრამ ამ მთელმა სავალდებულო თუ საჩვენებელმა პროგრამამ ერთი კარგი და დიდი საქმეც დაიტია. ბათუმში, ფოთსა და ზესტაფონში სტადიონები ისე შეკეთდა და გაკოხტავდა, ევროთასების მატჩების გასამართად ამ ქალაქთა გუნდებს ეროვნულ სტადიონზე თამაშის უფლების თხოვნა არ დასჭირვებიათ.

ბათუმმა კი სულაც მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს, საქართველო — მოლდავეთს უმასპინძლა, რაც თავისთავად ნებისმიერი ქალაქისთვის თავმოსაწონი და საისტორიო საქმეა.

ახლა, როცა ქართული გუნდები მეტწილად ერთმანეთშიღა პაექრობენ, საბჭოეთის ნააკლასარ გუნდებს ძველი პატივი და საყოველთაო სიყვარული შემოაცვდათ.

ყველაფრის მიუხედავად, ბოლო სამი ევროსეზონის გამოტოვება და ჩრდილში დგომა ქუთაისის „ტორპედოსთვის" დიდად უცნაური და სასირცხო საქმე გახლდათ.

„ტორპედოს" წილი ქართულ ფეხბურთში და მილიონთა თამაშის ამ გუნდის ქომაგებისეული გაგება ბევრისთვის დღესაც შესაშურია. და ეს ქალაქი თითქმის საუკუნოვანი საფეხბურთო ისტორიის მანძილზე ევროტურნირის მატჩს პირველად უმასპინძლებს.

სამი წლის წინ იყო, მაკედონური „ვარდარისთვის" სამტრედიელთა მიერ სამასპინძლო სტადიონის ძებნაში უეფას საგანგებო კომისიის წევრები ქუთაისსაც რომ ეწვივნენ და უკანვე ცივად გაბრუნდნენ. მაშინ ენამწარეებმა ანეგდოტიც შეთხზეს, ერიხ ეპლეს და რენე ებერლეს უეფაში ამბავი ჩაუტანიათ, ქუთაისში სტადიონი ტუალეტის სუნით უნდა იპოვნოთო.

ამიერიდან ქუთაისის „გივი კილაძის" სტადიონს ველარავინ დასცინებს. ინტერტოტოს გათამაშების შესარჩევი ეტაპის პირველ მატჩამდე ქუთაისელებმა რაც მოასწრეს, ყველაფერი ხარისხიანად გააკეთეს.

გუშინ ქუთაისური სტადიონის ვარგისიანობა და სომხურ „ერებუნისთან" მატჩისთვის მზადყოფნა უეფას საგანგებო კომისარს უნდა შეემოწმებინა.

დასაწუნი არც არაფერია და მატჩი ქუთაისში გაიმართება, ოღონდ სტადიონს 20 ივნისს ნასტუმრევი სლოვენი დაამტკიცებსო — დაუიმედებია ქუთათურები თბილისის „დინამოსა" და უეფას ერთ-ერთი კომიტეტის წევრ მერაბ ჟორდანიას.

მართლაცდა, „გივი კილაძის" სტადიონს ამ ზაფხულს გვარიანად მიეხედა. ლამის თავსჩამოსაქცევი ადმინისტრაციული კორპუსი შეკეთდა და გალამაზდა.

გუშინწინ ინჟინერთა ჯგუფმა, რომელსაც გურამ ავალიანი თავკაცობდა, ფრანგულ-თურქული წარმოების რბილი საფარით (ბიტულინი) გადახურვაც დაასრულა.

სამთავრობო ლოჟისწინა, ცენტრალურ ნაწილსა და მის მარჯვნივ-მარცხნივ „ა" და „ბ" პარტერად წოდებულ ტრიბუნაზე 1 500 ინდივიდუალური სკამიც დაიდგა.

21 ივნისს გამონათებს და მაყურებელს ანგარიშს ამცნობს კარგა ხნის ჩამქრალი ტაბლოც. სათამაშო მინდვრის ორი კარიც, როგორც ადრე ვწერდით, ახლებური იქნება.

ქუთაისელებს არც ჟურნალისტებზე ზრუნვა დავიწყებიათ და პრეს-ლოჟაც გამართეს. მასმედიის მსახურთ „გივი კილაძის" სტადიონის პრესცენტრში 21 ივნისვე 11-დან 13 საათამდე შეეძლებათ აკრედიტაციის მიღება.

მოკლედ, საკვირაო მატჩის არენა მზადაა. ახლა შეკეთებით სამუშაოთა ნარჩენებისგან გაწმენდა, უეფას კომისრის ხელდასმა და გამარჯვებიანი ნათლობაღაა დარჩენილი.

**იუზა ქაციტაძე**

# ახალი ქართული სიტყვა

ეროვნული ბიბლიოთეკა




ყოველივე ახალი კარგად დავიწყებული ძველია.

არსებობენ ფასეულობები, რომლებიც არასოდეს ძველდებიან, რომლებსაც მხოლოდ ივიწყებენ ხოლმე, როგორც რაღაც უმნიშვნელოს, ან თავისთავად ცხადსა და გასაგებს. მაგრამ გადის დრო და საჭირო ხდება მათი ხელახალი აღმოჩენა.

საჭირო ხდება, რადგან ყველაზე მყარი და საიმედო სწორედ ის არის, რაც მრავალგზის გამოცდილია და ახალი დროის გამოცდას კვლავაც გაუძლებს. ტრადიციული ფასეულობები ერთნაირად გვჭირდება ყველგან, შინ და გარეთ, ოჯახსა და სამსახურში, პირად ცხოვრებასა თუ საქმიან ურთიერთობებში.

ნდობა, თანამშრომლობა, საიმედოობა...

სწორედ ეს მარტივი პრინციპებია ის პირველმიზეზი, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს ყოველივე ჩვენს საქმიანობაში. მტკიცე საძირკვლის გარეშე კეთილდღეობა ისევე სწრაფად ინგრევა, როგორც ქვიშაზე ნაგები სახლი. ნებისმიერ წამოწყებას მხოლოდ მაშინ გააჩნია მომავალი, როდესაც იგი ურთიერთგაგებას ეფუძნება.

ფასეულობებს, რომლებიც შესაძლებელს ხდის ქართუს ნაწარმის შექმნას, ჩვენ თქვენგან ვიღებთ და განივთებული სახით ისინი ახლა თქვენთან ბრუნდებიან.

ძველად სჯეროდათ, რომ ნივთთან ერთად ნივთის იდეაც არსებობს. თუ ამას ვირწმუნებთ, მაშინ ჩვენ შევძლებთ, რომ ჩვეულებრივი საგნებით ჩვენს ყოფას სითბო და სინათლე შევმატოთ.

ქართუ

რაგბი

# ანგარიშები ყვირიან! ასე ხომ ჩვენც ვითამაშებთ

## საქართველოს ჩემპიონატი

**დინამო 0:73 დათვები**

**დათვები: 12ლ. დამელაძე (3), ფხაკაძე (2), შარვაშიძე (3), ხონელიძე, ჩუბინიძე (2), ტექ. 5 გ. ჩუბინიძე (4), შარვაშიძე, ს. ჩუბინიძე**

ჟოჩები — აიას თამაშისა არ იყოს, ამ მატჩზეც რა უნდა თქვა კაცმა — ანგარიში ყველაფერზე მეტყველებს კი არა, ყვირის! პირველი ტურის შემდეგ იყო, რომ ვწერდით, იქნებ სჯობდეს, პირდაპირ მეორე ეტაპიდან დავიწყოთ ჩემპიონატიო. ეს იმიტომ, რომ საუკეთესო ექვსეული მაშინვე გამოჩნდა. თუმცა, გულის კუნჭულში იმასაც ვფიქრობდით, იქნებ რომელიმე აუტსაიდერმა ერთ შეხვედრაში მაინც გამოიღოს ხელიო, მაგრამ ეს ფიქრი ფიქრადვე დაგვირჩა. მთელი უბედურება ისაა, რომ უმეტეს შემთხვევაში აუტსაიდერები ლიდერებთან არც კი თამაშობენ, აშკარად და დაუფარავად ვალის მოხდის მიზნითლა გადიან მინდორზე. იკითხავთ, რა ლიდერები „დათვები" არიანო. მით უარესი, რომ არ არიან. ნახეს დინამოელებმა, რომ ვერ მოუგებდნენ მეტოქეს და აღარც ითამაშეს. აი, ასეთი სავალალო ვითარებაა დღეს ქართულ რაგბიში და ამას უსწრაფესად უნდა შველა, თანაც ამ სენს ერთი „ექიმი". ვერ უშველის, აშკარაა, კონსილიუმია საჭირო — ავადმყოფი ჩემპიონატის მოსაფერიანებლად კლუბების ხელმძღვანელებმაც უნდა იფიქრონ, თავად მოთამაშეებმაც და, რა თქმა უნდა, რაგბის კავშირმაც.

**ბაატა თოთაძე**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ყოჩები | 5 | 5 | 0 | 0 | 312:59 | 51:8 | 10 |
| გუმარი | 4 | 4 | 0 | 0 | 173:55 | 28:8 | 8 |
| ექსპრესი | 5 | 4 | 0 | 1 | 154:55 | 25:5 | 8 |
| ასკ | 6 | 4 | 0 | 2 | 165:89 | 26:13 | 8 |
| დათვები | 6 | 3 | 0 | 3 | 178:74 | 24:10 | 6 |
| თსუ | 6 | 1 | 0 | 5 | 66:266 | 7:40 | 2 |
| აია | 5 | 0 | 0 | 5 | 34:257 | 3:42 | 0 |
| დინამო | 5 | 0 | 0 | 5 | 30:261 | 4:43 | 0 |

ჩოგბურთი

# რიოსმა, უიმბლდონი ძროხებისააო



მარსელო რიოსი

ნოტინგემის ღია პირველობა. ინგლისი. ტარდება ბალახზე. საპრიზო 345 ათასი $

მარსელო რიოსს რომ ბალახის საფარი გულზე მაინცდამაინც არ ეხატება, საიდუმლო არავისთვისაა. ბალახი ძროხებისთვისააო, განაცხადა უკმეხმა ჩილელმა შარშანდელი უიმბლდონის წინ, თუმცა იქ მერვედფინალს მაინც უწია და მხოლოდ ბეკერთან დათმო შეხვედრა.

მაგრამ ამჟამად მარსელო გუნებაზე ვერ გახლავთ — საფრანგეთის ღია პირველობის მეოთხედფინალში კარლოს მოიასთან მარცხმა ცალკე კარიერაში პირველი დიდი სლემის ტურნირის მოგების იმედი გადაუწურა, ცალკე კი კლასიფიკაციაში პირველი ადგილის დაბრუნების შესაძლებლობა მოუსპო. მოკლედ, წლევანდელ უიმბლდონს რიოსი სრულ საბრძოლო მზადყოფნაში და დიდი ამბიციებით ვერ ხვდება, აგერ, ნოტინგემის ტურნირზე „ვიღაც" ჯანლუკა პოცისთანაც წააგო.

რიოსმა პირველი სეტი იოლად მოიგო, მეორე კი ასევე იოლად დათმო. მესამის დასაწყისში ბურთის ჩავარდნა-არჩავარდნაზე მსაჯს ეკამათა, გაღიზიანებულმა საკუთარი მოწოდება წააგო და მატჩისადმი ყოველგვარი ინტერესიც დაკარგა: 6:3, 4:6, 0:6.

ჩილელმა მატჩის შემდეგ თამაშზე ხელის აღება მაინც იუარა, შეიძლება ეგრე ჩანდა, მაგრამ მოგება ნამდვილად მინდოდაო, შერცხვენის მიზეზად კი ეს დაასახელა: „მატჩამდე ბალახზე მხოლოდ 25 წუთით წავარჯიშება მოვასწარი. ამ საფარზე თამაში არ მიყვარს, მაგრამ წესიერად თუ მოვემზადები და მოსაგებად განვეწყობი, უიმბლდონზე წარმატებით გამოსვლა არ უნდა გამიჭირდეს".

რიოსთან ერთად ტურნირს სხვა განთესილებიც გამოეთიშნენ. სომეხმა სარგის სარგსიანმა როლან გაროსის ნახევარფინალისტი, ესპანელი ფელიქს მანტია (3), გააგდო 6:3, 6:7 (7:9), 7:6 (7:3), თუმცა, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ სარგსიანმა შარშან ბალახზე ტურნირი მოიგო, მანტიას კი კარიერაში ერთი გამარჯვებაც კი არა აქვს ანგარიშზე, ეს შედეგი მოულოდნელად კი არა, კანონზომიერად უფრო უნდა მივიჩნიოთ.

**პირველი წრე: უეინ ბლექი (ზიმბაბვე) — ტოდ ვუდბრიჯი (5, ავსტრალია) 7:6 (7:2), 7:6 (7:3), დევიდ პრინოშილი (გერმანია) — ჰიშამ არაზი (8, მაროკო) 6:2, 6:4; იონას ბიორკმანი (2, შვედეთი) — მარკ-კევინ გელნერი (გერმანია) 6:4, 6:4; სედრიკ პიოლინი (4, საფრანგეთი) — ტომას ნიდალი (შვედეთი) 6:4, 6:3.**

**ავთანდილ სვანიძე**

## 1998 წლის შედეგები

შარშან ამ დროს ATP ტურის მიერ გამოქვეყნებულ სიებს სხვადასხვა საფარზე თუ სხვადასხვა მაჩვენებლებით ლიდერებს შორის თითქმის ყველა კატეგორიაში ერთი კაცი — პიტ სამპრასი ედგა სათავეში. მაგრამ რაც იყო, იყო, წლეულს პისტოლ პიტმა აშკარად მოისუსტა, მისი ადგილი კი გამორჩეულთა ნუსხებში კიკინიანმა მარსელო რიოსმა დაიკავა. რაც კიდევ უფრო მოულოდნელია, მარსელოსთან ერთად აქ ყველასგან ჩამოწერილი ანდრე აგასის სახელსაც შეხვდებით, რომელსაც მთელი შარშანდელი სეზონის განმავლობაში გამარჯვებები თითებზე ჩამოეთვლებოდა.

| მოგება-წაგება | მ | წ | % |
|---|---|---|---|
| მარსელო რიოსი | 40 | 5 | 889 |
| ანდრე აგასი | 30 | 8 | 789 |
| ენდრიუ ილიე | 11 | 3 | 786 |
| პიტ სამპრასი | 25 | 8 | 758 |
| ალბერტ კოსტა | 29 | 10 | 744 |
| ტომას ენკვისტი | 29 | 10 | 744 |
| რიჩარდ კრაიჩეკი | 22 | 8 | 733 |
| ალექს კორეტხა | 27 | 10 | 730 |
| პეტერ კორდა | 26 | 10 | 722 |
| ანდრეი პაველი | 18 | 7 | 720 |

| თიხნარი | მ | წ | % |
|---|---|---|---|
| მარსელო რიოსი | 15 | 2 | 882 |
| ალბერტ კოსტა | 20 | 4 | 833 |
| ენდრიუ ილიე | 9 | 2 | 818 |
| ა. ბერასატეგი | 21 | 6 | 778 |
| კარლოს მოია | 23 | 7 | 767 |
| ალექს კორეტხა | 16 | 5 | 762 |
| პიტ სამპრასი | 9 | 3 | 750 |
| ანდრეა გაუდენცი | 18 | 7 | 720 |
| მარატ საფინი | 5 | 2 | 714 |
| ტომას ენკვისტი | 7 | 3 | 700 |

| ჭერქვეშ | მ | წ | % |
|---|---|---|---|
| ანდრე აგასი | 5 | 0 | 1000 |
| პიტ სამპრასი | 9 | 1 | 900 |
| ტომას ენკვისტი | 11 | 2 | 846 |
| მარკ ფილიპუსისი | 5 | 1 | 833 |
| გრეგ რუზეცკი | 13 | 3 | 813 |
| ანდრეი პაველი | 4 | 1 | 800 |
| რიჩარდ კრაიჩეკი | 11 | 3 | 786 |
| მაიკლ ჩანგი | 7 | 2 | 778 |
| ე. კაფელნიკოვი | 10 | 3 | 769 |
| იან სიმერინკი | 13 | 4 | 765 |

| ჰარდი | მ | წ | % |
|---|---|---|---|
| მარსელო რიოსი | 25 | 3 | 893 |
| ანდრეი პაველი | 8 | 1 | 889 |
| პეტერ კორდა | 18 | 3 | 857 |
| ანდრე აგასი | 25 | 5 | 833 |
| პიტ სამპრასი | 15 | 4 | 789 |
| გრეგ რუზეცკი | 15 | 4 | 789 |
| კაროლ კუჩერა | 15 | 4 | 789 |
| ტომას ენკვისტი | 20 | 6 | 769 |
| ალექს კორეტხა | 11 | 4 | 733 |
| ნიკოლა ესკუდე | 8 | 3 | 727 |

კალათბურთი

მათ, ვინც ამ ზაფხულს ათენში, კალათბურთელ ვაჟთა მსოფლიოს ჩემპიონატზე დარჩეული NBA-ელების ფრენა-ღლაბუცის ნახვას ელოდა, კოვზი ნაცარში ჩაუვარდებათ. მაყურებელთა სამწუხაროდ და [illegible] ხარად, როგორც ეტყობა, მეოთხე „დრიმ თიმი" ანუ ოცნების გუნდი საბერძნეთს არ გაემგზავრება.

# ოცნება ჩაიშალა. მიზეზი ფულია

საქმე ისაა, რომ მსოფლიოს უპირველესი საკალათბურთო ლიგის პატრონები ამ ზაფხულს მოთამაშეთა ხელფასების კატასტროფული ზრდის ალსაკვეთად გაფიცვასა და ახალი კოლექტიური შეთანხმების მიღწევას აპირებენ, რის გამოც წინასწარ შერჩეული დრიმთიმელები, რომელთა შორის რამდენიმე სუპერვარსკვლავი — გარი პეიტონი, გრანტ ჰილი, ტიმ დანკანი და ტიმ ჰარდევეიც ერია, მსოფლიოს ჩემპიონატის ბოიკოტით იმუქრებიან.

აშშ-ის საკალათბურთო ფედერაციამაც, რაკილა ზემოხსენებულთაგან პასუხის მიღებას ვერ ელირსა, გადაწყვიტა: NBA-ელები კონტინენტური საკალათბურთო ასოციაციის, კოლეჯთა სტუდენტებითა და უცხოეთში მოთამაშე ამერიკელებით შეიცვალნონ. „ძალზე ვწუხვართ, რომ ასეთი რამის გაკეთება მოგვიხდა, მაგრამ გუნდს ვარჯიში 8 ივლისს უნდა დაეწყო და მათი პასუხისთვის ბოლო წუთამდე ცდის შესაძლებლობა არ გვქონდა" — განაცხადა ფედერაციის დირექტორმა უორენ ბრაუნმა.

მოთამაშეებისგან განსხვავებით, „ჰიუსტონ როკიტსის" მწვრთნელს რუდი ტომიანოვიჩს ათენში წასვლაზე უარი არ უთქვამს, ფავორიტებიდან აუტსაიდერებად ვიქეცით, მაგრამ ჩემი გადაწყვეტილების შეცვლას მით უმეტეს არ ვაპირებო. ამერიკელთა საქმეების აწეწვამ არც NBA-ში მოთამაშე უცხოელებს უნდა შეუშალოს ხელი პატრიოტული ვალის მოხდაში: წესით და რიგით, ათენში იუგოსლავიელი ვლადე დივაცი, ლიტველი ჟიდრუნას ილგაუსკასი და კანადელები — სტივ ნეში და რიკ ფოქსი მაინც უნდა ვიხილოთ.

ჰოკეი

'98 NHL Playoffs

ფინალი

# დეტროიტი: ტრიუმფი იყო და არის!

**დეტროიტი 4 ვაშინგტონი 0**

16 ივნისი

**ვაშინგტონი — დეტროიტი 1:4**

**0:1, 1:2, 0:1**

**შაიბები: ბრაუნი 3 (ფიოდოროვი, მერფი 11) (0:1), ლაპოინტი 9 (ლარიონოვი, როუზი 23) (0:2), ბელოუზი 6 (ოუთსი, ჟიუნო 28) (1:2), მერფი 3 (ჰოლმსტრიომი, ფიოდოროვი 32) (1:3), ბრაუნი 4 (კოზლოვი, ერიქსონი 42) (1:4)**

## ისევ თასი, ისევ 4:0

როგორც მოსალოდნელი იყო, მეოთხე მატჩშიც დეტროიტმა იძალა და ზედიზედ მეორედ მოიგო სტენლის თასი, თანაც ფინალურ სერიაში კვლავ „მშრალი" ანგარიშით იმარჯვა. ცხადია, სამჯერ მინიმალური სხვაობით დამარცხებულ ვაშინგტონელებს მეოთხე შეხვედრისთვის საბრძოლოდ განწყობა გაუჭირდათ: „წითელფრთიანები" კვლავ დაწინაურდნენ და მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდნენ უპირატესობას, რაც დარტყმების რაოდენობაშიც (38-31) გამოიხატა. რაც მთავარია, დეტროიტელები უფრო თავდაჯერებულნი გამოიყურებოდნენ.



თასმირთმეულ კონსტანტინოვს მეუღლე და ფეტისოვი ახალისებენ

## ოსგუდმა სკეპტიკოსები გაწუწა

თუმცა არც მთლად ასე იყო საქმე — დრო და დრო ვაშინგტონელები მეტოქეს ინიციატივას ართმევდნენ და მაშინ სტუმრებს ნამდვილად არ ულხინდათ. დეტროიტს განსაკუთრებით მაშინ გაუჭირდა, როცა ბელოუზმა მცველ ჯემი მაკოუნის უხეში შეცდომის შემდეგ (ეს „წითელფრთიანთა" ერთადერთი ხარვეზი იყო) კართან ახლოს ყველას აჯობა და ანგარიში მინიმუმამდე შეამცირა. გამხნევებულმა მასპინძლებმა გააძლიერეს ზეწოლა, მაგრამ დეტროიტელთა მეკარე კრის ოსგუდმა ბელოუზს, ბონდრასა და კიდევ რამდენიმე ვაშინგტონელს ხელსაყრელი მომენტები გაუცუდა და სკეპტიკოსებსაც ცივი წყალი გადაასხა. გამოჩნდა, რომ იგი დიდი ოსტატია, ჩინებული რეაქციაც გააჩნია და ამას მხოლოდ ფსიქოლოგიური არასტაბილურობა ჩრდილავს.

## დეტროიტში ბევრი ყოჩია

ოსგუდის კარგი თამაშით გამხნევებულმა სტუმრებმა მეტოქეს მალე მიაგეს კუთვნილი. მათ ტიკანენიც დაეხმარა, რომელმაც წესი დაარღვია და ეს არ ეპატია, მით უმეტეს, რომ „წითელფრთიანები" ჩინებულად ირჯებოდნენ რიცხვმრავლობაში (4 ცდიდან 3 გამოიყენეს): შვედი ჰოლმსტრიომის გადაცემით ვეტერანმა ლარი მერფიმ თავისიანებს კვლავ ორშაიბიანი უპირატესობა მოუპოვა. ამის შემდეგ დედაქალაქელები მოდუნდნენ და დეტროიტელები მთლიანად აკონტროლებდნენ სიტუაციას. ყველაზე მეტად მობერებული დუგ ბრაუნი აქტიურობდა. მწვრთნელებმა გამოცდილი ჰოკეისტი ძველ პარტნიორებს — ფიოდოროვს და კოზლოვს შეუამხანაგეს და კანადელმაც საბოლოოდ გაანადგურა ვაშინგტონელები — მისი და კოზლოვის ლამაზი კომბინაცია გოლით დასრულდა. ბრაუნს ჰეთ-თრიქის შესრულებაც შეეძლო, მაგრამ იღბალმა უმტყუნა. სხვათა შორის, მან ფინალურ სერიაში ყველაზე მეტი — 3 გოლი გაიტანა, არადა, მანამდე მხოლოდ 1 შეეგდო.

## სიხარული, ცრემლი, დიდება

ბრაუნის გოლის შემდეგ თამაშმა ყოველგვარი აზრი დაკარგა — 9 წუთში დეტროიტელებთან 3 შაიბის გაქვითვა ხომ თითქმის წარმოუდგენელი რამაა. აკი მასპინძლებიც ამიტომ შეურიგდნენ ბედს და მსაჯის სასტვენის მოლოდინში მოედანზე მოვალეობის მოხდის მიზნითლა ირჯებოდნენ.



უძვირფასესი სტივ აიზერმანი

მატჩის დამთავრებამ დეტროიტელები უზომოდ გაახარა. შარშანდელი წარმატების გამეორებით მათ დაამტკიცეს, რომ 90-იანი წლების მეორე ნახევრის უძლიერესნი არიან. „წითელფრთიანთა" ტრიუმფი გულისამაჩუყებელმა ეპიზოდმა დაამშვენა: თანაგუნდელთა სიხარული სახეიბრო სავარძელში მჯდომმა ვლადიმერ კონსტანტინოვმა გაიზიარა, რომელსაც გამარჯვებულთა კაპიტანმა სტივ აიზერმანმა მათთვის ახალმირთმეული სტენლის თასი გადასცა.

ამის მერე, როგორც მოსალოდნელი იყო, აიზერმანი პლეი ოფის საუკეთესო მოთამაშისთვის განკუთვნილი „კონ სმაიტ ტროფით" დააჯილდოვეს. ამგვარად დაფასდა 35 წლის ჰოკეისტის ერთგულება, რომელმაც მთელი თავისი კარიერა დეტროიტში გაატარა. რა თქმა უნდა, ქება არ მოჰკლებია დეტროიტელთა თავკაცს, უკვე ლეგენდადქცეულ სკოტი ბოუმენს. 64 წლის სპეციალისტმა თავისი მერვე თასი მოიპოვა, რითაც სახელოვანი ტო ბლეიკის (მონრეალი) მიღწევა გაიმეორა. ბოუმენის წარმატება მით უფრო ფასობს, რომ მან ლიგის უმთავრესი ჯილდო სამ სხვადასხვა კლუბში (მონრეალი, პიტსბურგი, დეტროიტი) მოიგო.

**სამველ ლარიბიანი**



ჩემპიონებმა საკადრისად გაიხარეს

### გოლები

3 — მარსელო სალასი (ჩილე), კრისტიან ვიერი (იტალია)
2 — ლუის ერნანდესი (მექსიკა)
1 — სეზარ სამპაიო (ბრაზილია), ჯონ კოლინზი (შოტლანდია), დან ეგენი (ნორვეგია), მუსტაფა ჰაჯი (მაროკო), აბდელჯილილ ჰადა (მაროკო), რობერტო ბაჯო (იტალია), პიერ ნჯანკა (კამერუნი), ტონი პოლსტერი (ავსტრია), მარკ რიპერი (დანია), კრისტოფ დიუგარი (საფრანგეთი), ფერნანდო იერო (ესპანეთი), რაული (ესპანეთი), მუტიუ ადეპოჟუ (ნიგერია), სანდი ოლისე (ნიგერია), ჰა სეკ ჯუ (კორეა), რიკარდო პელაესი (მექსიკა), გაბრიელ ბატისტუტა (არგენტინა), სინიშა მიჰაილოვიჩი (იუგოსლავია), მარიო სტანიჩი (ხორვატია), რობერტ პროსინეჩკი (ხორვატია), დავორ შუკერი (ხორვატია), რობი ერლი (იამაიკა), ალან შირერი (ინგლისი), პოლ სქოულზი (ინგლისი), ადრიან ილიე (რუმინეთი), ანდრეას მიოლერი (გერმანია), იურგენ კლინსმანი (გერმანია), ჰ. ფლო (ნორვეგია), ბარლი (შოტლანდია), რონალდო (ბრაზილია), რივალდო (ბრაზილია), ბებეტო (ბრაზილია), ვასტიჩი (ავსტრია), ლუიჯი დი ბიაჯო (იტალია)

### ავტოგოლები

2 — პიერ ისა (სამხრეთ აფრიკა)
1 — ტომი ბოიდი (შოტლანდია), იუსუფ ჩიპო (მაროკო), ანდონი სუბისარეტა (ესპანეთი)

### წითელი ბარათები

**D ჯგუფი**
ბულგარეთი — ანატოლი ნანკოვი

**E ჯგუფი**
კორეა — ჰა სეკ ჯუ
ჰოლანდია — პატრიკ კლუივერტი
კამერუნი — რაიმონდ კალა

### ყვითელი ბარათები

**A ჯგუფი**
ბრაზილია — სეზარ სამპაიო 2, ალდაირი
შოტლანდია — დარენ ჯეკსონი 2, გორდონ დიური
მაროკო — საიდ ჩიბა 2, აბდელჯალილ ჰადა
ნორვეგია — ჰენინგ ბერგი, კეტილ რეკდალი

**B ჯგუფი**
ჩილე — ნელსონ პარაგუსი, კლარენს აკუნია, ფრანსისკო როხასი, მარსელო სალასი, მოისეს ვილიაროელი, ივან სამორანო, ფაბიენ ესტეი
იტალია — ანჯელო დი ლივიო, ფაბიო კანავარო, ალესანდრო კოსტაკურტა, ლუიჯი დი ბიაჯო
ავსტრია — ანტონ პფეფერი, პეტერ შოტელი
კამერუნი — სამუელ იპუა, პიერ ვომე, პიერ ნჯანკა, დიდიე ანგიბედო, რიგობერტ სონგი

**C ჯგუფი**
დანია — მორტენ ვიგჰორსტი, მარკ რიპერი, ალან ნილსენი
საფრანგეთი — ემანუელ პეტი, დიდიე დეშამპი, ზინედინ ზიდანი
საუდეთი — ხალიდ ალ მუვალიდი
ს. აფრიკა — ვილემ ჯექსონი

**D ჯგუფი**
ბულგარეთი — ანატოლი ნანკოვი, ხრისტო სტოიჩკოვი, ტრიფონ ივანოვი
ესპანეთი — გილერმო ამორი, მიგელ ანხელ ნადალი, ივან კამპო
პარაგვაი — მიგელ ბენიტესი
ნიგერია — უჩე ოკეჩუკვუ

**E ჯგუფი**
მექსიკა — ხაიმე ორდიალესი, ალბერტო გარსია ასპე
ბელგია — ლორენცო სტალენსი, ერიკ დეფლენდრე

**F ჯგუფი**
იუგოსლავია — ზელიკო პეტროვიჩი, დრაგან სტოიკოვიჩი
გერმანია — იენს იერემისი, დიტმარ ჰამანი, იორგ ჰაინრიხი,
აშშ — ფრენკი ჰეიდუკი, ედი პოუპი

**G ჯგუფი**
ტუნისი — ხოსე კლეიტონი, იმედ ბენ ინეში, კაის გოდბენი
რუმინეთი — იულიან ფილიპესკუ, დორინელ მუნტეანუ, დან პეტრესკუ
ინგლისი — სოლ კემპბელი
კოლუმბია — ხოსე სანტა

**H ჯგუფი**
იაპონია — მასამი იჰარა, ისუკე ნაკანიში, ტაკაში ჰირანო
ხორვატია — ზვონიმირ სოლდო, დარიო სიმიჩი
იამაიკა — დეონ ბარტონი

# ჰოდლი და ხულიგნები



ჰოდლი ამტკიცებს, მარსელში ჩხუბი ინგლისელმა კი არა, ტუნისელმა ფანებმა ატეხეს

ინგლისის ნაკრების მწვრთნელმა გლენ ჰოდლმა თქვა, ჩემი თანამემამულე ხულიგნების მიერ მარსელში ატეხილ ჩხუბის ამბავმა გული დამწყვიტაო.

ჰოდლმა შეაქო ფრანგი ხელისუფალნი, რომელთაც ხულიგნების დაჭერა მალე მოახერხეს. ინგლისშიც ვიჭერთ ხულიგნებსო, თქვა თუმცა...

პრესკონფერენციაზე მწვრთნელმა განაცხადა, რომ ჩხუბის ფრაგმენტები ტელევიზიით ნახა:

„მედალს მაინც ორი მხარე აქვს — ბრძანა მან — ვნახე მარსელის სანაპიროზე გამართული ჩხუბი, მაგრამ იგი ინგლისელებმა კი არა, ტუნისელებმა დაიწყეს. მეტის თქმა არ შემიძლია, რამე რომ განაცხადო, ფაქტები უნდა გქონდეს. ვიცი, რომ ზოგი ინგლისელი ხულიგანი უკვე გისოსებშია. ნეტავ ჩვენთან, ბრიტანეთშიც ასე უცბად იჭერდნენ თავგასულებს.“

ჰოდლმა დასძინა, რომ სტადიონზე ინგლისელი ფანები დიდებულად იქცეოდნენ.

დღეისათვის დაპატიმრებულია სამი ფანი. მათ იმ, დიდ აყალმაყალში მიიღეს მონაწილეობა, რომელიც ინგლის-ტუნისის მატჩამდე (2:0) 48 საათით ადრე გაიმართა.



REUTERS

ინგლისელ და ტუნისელ გულშემატკივართა ომი მარსელში

# რეზინის შეყვარებული

ბელგიელმა მცველმა ერიკ დეფლენდრემ ამ ჩემპიონატზე ერთადერთი შეცდომა დაუშვა. იგი ჟურნალისტს გამოუტყდა, მარტოობას ვერ ვიტან და ამიტომ შინიდან გასაბერი, რეზინის ქალი წამოვიღეო.

„ჩემპიონატის წინ მკითხეს, რა ნივთები მოგაქვს ერთთვიან მოგზაურობაშიო. მე ბუცები და გასაბერი ქალი ჩავაწერინე, რადგან სექსის გარეშე ერთ თვეს ვერ გავძლებ — ბრძანა დეფლენდრემ.

დეფლენდრეს სინთეტიკური შეყვარებულის ამბავმა მთელი ბელგიური და ფრანგული პრესა მოიარა.

ფეხბურთელს რომ ჰკითხეს, შენი მეგობარი (ცოცხალი) გოგონა ხომ არ იეჭვიანებსო, უპასუხა: „მანაც ბევრი იცინა და ჩემმა ოჯახის წევრებმაც. ერთადერთი იმ ჟურნალისტს არ ეცინებოდა, ინტერვიუ რომ გამომართვა.“

დაბოლოს: „მე ხომ ვიხუმრე, რა სისულელეა, მართლა გასაბერ ქალს ხომ არ წამოვიღებდი.“

შეგახსენებთ, ერიკ დეფლენდრემ ჰოლანდიელებთან შეხვედრაში ძალიან კარგად ითამაშა. სანამ იგი მოედანზე შევიდოდა, ბელგიელთა დაცვას უჭირდა, მისი შესვლის მერე კი ამოისუნთქა.

# ჭამა-სმა დიდად შესარგი

ესპანური ტრადიცია ასეთია: სუფრასთან კაცმა თითო ჭიქა ღვინო უნდა გადაჰკრას. ეს ამბავი არც ნაკრების მწვრთნელს ხავიერ კლემენტეს ემლება და ფეხბურთელებს ნება დართო სუფრა უღვინოდ არ დასტოვონ.

გუნდის მზარეულმა ხავიერ აბრისუმ ორშაბათს 360 ბოთლი წითელი და 240 ბოთლი თეთრი ღვინო მიიღო. გარდა ამისა, მან ჩამოატვირთინა ათასი ბოთლი ლუდი და ესპანური სასმელი ორუხო.

ასე ებრძვის კლემენტე იმას, რასაც, როგორც ამბობენ, ინგლისელები და ნორვეგიელები ვერ ებრძვიან — ბაზიდან გაპარვას და ქალაქში სმას.

თანაც: „აქ, საფრანგეთში ესპანეთში რომ გვაქვს, იმ ხარისხის პროდუქტით ვერ გვამარაგებენ. ამიტომ ყველაფერი შინიდან მოგვაქვს“ — ბრძანა მზარეულმა.

კიდევ აბრისუმ ასე თქვა: „მიკვირს, ჩემმა გამოკვებილმა მოთამაშეებმა ნიგერიასთან რატომ წააგეს.“

კვებას ესპანეთში ეტყობა მართლა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ. ჩემპიონატამდე, სანტანდერის ახლომახლო დაბანაკებული ნაკრების მენიუ ქვეყნის ყველა გაზეთში ეწერა.

კიდევ, მზარეული ლამის ტელევარსკვლავად იქცა. სულ აჩვენებენ, როგორ დადის აბრისუ ფრანგულ ბაზარში და დააქვს უშველებელი დავთარი. ამ დავთრის ჩანაწერებიც პრესაში გამოქვეყნდა.



ქალი რის ქალია, ფეხის ხმას არ აჰყვეს... ამ ლამაზმანმაც მსოფლიოს თასით დაიმშვენა თავი

# მადამ იოსა აჩარალეს

საფრანგეთში სასტუმროთა მეპატრონეების უმრავლესობა სიამოვნებით უმასპინძლებდა რომელიმეს 32 მონაწილე გუნდიდან, მაგრამ...

მშვენიერი „ლა რეზერვის“ დირექტორს ელენ იოსა-რიოს ეშინია, რომ რუმინეთის ნაკრები კუთვნილ ფულს წაართმევს.

„გუნდს სასტუმროს ოცდახუთივე ოთახი აქვს დაქირავებული. რესტორანი სხვათათვისაც ღიაა, მაგრამ სამწუხაროდ, სავახშმოდ ველარავინ შემოდის, რადგან შესასვლელში სასტიკი დაცვა დგას. ხალხს ჰგონია, რომ რესტორანიც დაკეტილი გვაქვს“ — დაიჩივლა მადამ იოსა-რიომ.

„როგორც კი ვინმე შემოსვლას დააპირებს, დაცვის თანამშრომლები ეკითხებიან, ვინ ხარ და სად მიდიხარო. იძულებული გავხდი რამდენიმე ოფიციანტი შვებულებაში გამეშვა. მათ უსაქმოდ ყიალს ველარ ვიტანდი“ — დასძინა დირექტრისამ.

# ქალები და ერთი ბოთლი ღვინო

ძალიან საინტერესო დღე ჰქონდათ სამშაბათს ჰოლანდიელ ფეხბურთელებს. მათ ცოლებთან და მეგობარ გოგონებთან შეხვედრის ნება დართეს. მარტოხელანი ბაზაზე დარჩნენ და გოლფი გაახურეს.

კაცმა რომ თქვას, გუნდი მხოლოდ ხუთი დღეა რაც შინიდან აიყარა, მაგრამ პირველ და მეორე შეხვედრებს შორის ერთკვირიანი მანძილი ძნელი გადასატანი გამოდგა. ამიტომაც მიაშურეს მოთამაშეებმა და მათმა თანამეცხედრეებმა რივიერის თვალისმომჭრელ ადგილებს.

ფეხბურთელების ქალებთან შეხვედრა (მხოლოდ 24 საათით) მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე ბევრი გუნდისთვის დაუშვებელი რამ გახლავთ. ჰოლანდიელთა მეუღლეები და საყვარლები კი ორშაბათს საგანგებოდ ჩაიყვანეს საფრანგეთში.

ისე, ნუ იფიქრებთ, რომ ჰოლანდიელი ფეხბურთელები სადღაც ცხრაკლიტულში არიან გამომწყვდეულნი. უახლოესი ორი კვირის განმავლობაში მათი ბინა იქნება „ვისტა პალას ოტელი“, რომლის ფანჯრებიდან მონტე კარლოს ხედი იშლება. ბუნებრივია, რომ მოთამაშეთაგან ბევრს გულმა იქით, საცდუნებელი ადგილებისა და მსფლიოში ცნობილი კაზინოსკენ გაუწია.

ო, სამორინეში თამაში მართლაც გადამდები დაავადებაა, მაგრამ თუ სამორინეს ხედავ და შიგ ვერ შედიხარ, მაშინ ადგილობრივი ნიძლავები შეგიძლია გაახურო. პიერ ვან ჰოიდონკმა მეკარე რუუდ ჰესას ნიძლავი დაუდო ვარჯიშზე ექვს გოლზე მეტს გავიტანო, „ნოტინგემის“ ფორვარდმა „ბარსელონას“ მეკარეს მოუგო, რვა გოლი შეაგდო და ერთი ბოთლი ღვინოც გამოართვა.

თანაც ჰოლანდიელები გათბენ. თავიდან პარიზის ჩრდილოეთით ვერსალში ცხოვრობდნენ და ცივ წვიმას აფარებდნენ თავს, ახლა კი 25 გრადუსს ეფიცხებიან.

### პარიზული ჭორ-მართალი

აშშ-ის ნაკრების წევრმა ფრენკი ჰეიდუკმა გერმანელებთან შეხვედრის წინ მეტად ორიგინალურ ხრიკს მიმართა. მისი აზრით, ძლიერი გერმანიის გუნდის დასამარცხებლად რაიმე არაჩვეულებრივის გაკეთება თუ შეეშველებოდა, ჰოდა, მოედანზე შეცვლაზე შესულმა სათამაშო ფორმის ტრუსები უკუღმა ჩაიცვა. ეს ამერიკელ ბეისბოლისტთა შორის საკმაოდ გავრცელებული წეს-ჩვეულების ერთგვარი სახესხვაობაა — კეტბურთელები ხომ გადამწყვეტი გარბენის წინ თავიანთ კეპს ყოველთვის უკუღმა იხურავენ. „სამწუხაროდ, ფანდმა არ გაჭრა და 0:2 დავმარცხდით“ — თქვა მატჩის შემდეგ ჰეიდუკმა და აღიარა, მსგავს ოინებს აღარასოდეს გავიმეორებო.

ქალაქ სენტ ეტიენის მუნიციპალიტეტმა იუგოსლავია — ირანის მატჩს ქალაქის ცენტრალურ რაიონში მდებარე ერთ-ერთი ქუჩისთვის სახელის დარქმევის ცერემონიალი დაამთხვია. ამიერიდან ქუჩა ცნობილი იუგოსლაველი ფეხბურთელის ვლადიმერ დურკოვიჩის სახელობისა იქნება. ეს ცნობილი ფეხბურთელი 60-70-იან წლებში ჯერ თავის ქვეყანაში გამოდიოდა, ხოლო მოგვიანებით შვეიცარიული „სიონის“ ღირსებასაც იცავდა. 1972 წელს დურკოვიჩი ტრაგიკულად დაიღუპა — იგი სრულიად შემთხვევით შვეიცარიელმა პოლიციელმა თოფის გასროლით მოკლა. ახალი ქუჩის გახსნას სხვა პატივცემულ პირებთან ერთად თავად დაღუპული ფეხბურთელის ქალიშვილიც ესწრებოდა.


# სარბიელი

სპორტული გაზეთი
გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს
მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში — კვირაში შვიდჯერ

**მთავარი რედაქტორი**
ზურაბ ფოცხვერია
**რედაქტორი**
თამაზ მიგრიაული
**ტექნიკური რედაქტორი**
გურამ ხელაშვილი
**სარედაქციო კოლეგია:**
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
**ფეხბურთის განყოფილება:**
ლაშა გოდუაძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, დავით კოვზირიძე, ონისე შინჯიკაშვილი, ირაკლი ხმელიძე
**სხვა სახეობათა განყოფილება:**
გიო აზვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი, სოსო კოტორეიშვილი, ავთანდილ სვანიძე
**კორესპონდენტი ქუთაისში**
იუზა კაციტაძე
**ფოტორეპორტიორები:**
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:**
მაია აბზიანიძე ნათელა გიორგობიანი
**კომპიუტერული ცენტრი:**
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, მარიკა ტაბიძე, ლევან ჩხეიძე, გია ცარციძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**დირექტორი**
გიორგი ოქრომჭედლიძე

**დამფუძნებელი:** შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“
**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29




ეროვნული ბიბლიოთეკა